



15 აპრილი, 2019

ორშაბათი, №3 (2229)



თსუ – აკრძალვის ანგარიშის პირველი არჩევანი




2019 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე აკრძალვის ანგარიშის პირველი არჩევანის მიხედვით თსუ კვლავ ლიდერია.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, აკრძალვის ანგარიშის რეგისტრაციის დასრულებისას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე პირველ პრიორიტეტად 10 260 აკრძალვას დაასახელა. თსუ მეორე და მესამე არჩევანშიც პირველია.

2019 წელს თსუ ფაკულტეტებსა და მიმართულებებს შორის პირველი ადგილი მიიღო სულ 44 557 აკრძალვის დასრულების რაოდენობით. თსუ-მ წელს 67 საბაკალავრო საბანგანოთვალლო პროგრამაზე 5 308 ვაკანტური ადგილი გამოაცხადა.

2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის 37 052 აკრძალვის ანგარიშს გაიარა რეგისტრაცია.

უნივერსიტეტი აკრძალვის პირველი არჩევანი



„14“ აპრილი ანგარიშების დღე უნდა იყოს. ამ დღეს თითოეულმა ჩვენებამ ვის, ვიყვანე ანგარიში უნდა ჩააბაროს – თუ რა გააკეთა მან მთელი წლის მანძილზე ქართული ენის სასიკეთოდ“, — ასე სვამდა საკითხს ქართული ენის დღის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქოვაძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დღემდე ქართული ენის პირველი ქომაგია, როგორც ეს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებისას გამოჩნდა.

1978 წლის 14 აპრილის კადრები აღარ არსებობს... ვიღაც და ფოტო მასალა მთლიანად განადგურებულია. მაგალითად, საჭმლად კავშირის პოლიტეხნიკის ავთანდილ იმნაძის მიერ გადაღებული ფოტოებიც მისივე ლაგორატორიიდან უპირობოდ წაიღო. დარჩა ქართულთა მისივე სივრცე, რომელიც 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების ქრონოლოგიის აღდგენაში მონაწილეობს... მსოფლიო უნივერსიტეტებშია ამგვარი ანგარიშები 14 აპრილი, რის შესახებაც მომავალ-მა თაობამ უნდა იცოდეს... სწორედ მათთვის კიდევ ერთხელ ვიხსენებთ ისტორიას.

83. 3

ნომერები

მერაბ კოკოჩაშვილის იუბილე თსუ-ში და ფილმში დასმული სწორი აქცენტები



83. 11

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი მერაბ კოკოჩაშვილი და უკრაინის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ოთარ ბაქანიძე უნივერსიტეტის საიუბილეო მაღლით დაჯილდოვდნენ

დიდი მამასახლისის „პატარა უკრაინა“



83. 12



წარმომადგენლობითმა საბჭომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიში დაამტკიცა

ინტერვიუში ასახული ფაქტები (შედეგები, მიღწევები, გამოწვევები)

83. 2

ქართველი ერის „პასპორტი“ ცივილიზებულ სამყაროში

83. 5

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის დავალებით, ბაოლო დელ ბიანკოს უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადაეცა

83. 12



83. 13

- მარინე ტერრეტა: საქართველოში ყოფნა ძალიან ფერად და ლამაზ ოცნებას ჰგავს
- თსუ-ის სტუდენტი ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს
- ევროპის ლიტერატურული პრიზის ფინალისტებს შორის თსუ-ის სტუდენტები არიან
- საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების გეოგრაფიული კვლევა (სტუდენტური პროექტი)
- სტუდენტების მიერ დაფინანსებულ ჟურნალში კარი ყველასთვის ღიაა
- დათო ეგვინიძის ექსპერიმენტი თსუ-ში

სურ-მუიკი

83-7-10 83.

რას მოუტანს სტუდენტებს ევროპის სტუდენტთა გაერთიანებაში (ESU) განეკრიანების პროცედურა?



83. 7



წარმომადგენლობითმა საბჭომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიში დააბეჭდა

ინტერვიუ ასახული ფაქტები (შედეგები, მიღწევები, გამოწვევები)

ბაია ტორაძე

26

მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ, მიმდინარე საკითხებთან ერთად, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ნუნუ ოქსიანიძის 2018 წლის ანგარიში მოისმინა.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც ანგარიშში ნაჩვენებ ძირითადი ასპექტები წარმოდგენილი:

რა მიმართულებებით წარმართა 2018 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობა?

— 2018 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული მუშაობა ეფუძნებოდა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განხორციელების შესაბამისად განსაზღვრული ამოცანების უზრუნველყოფას და მოიცავდა: საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ინსტიტუციურ განვითარებას და სტრუქტურული ცხოვრების შემდგომ მხარდაჭერას.

აღნიშნული მიზნის მიღწევა სათანადო ფინანსური რესურსების გარეშე, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა...

— გეთანხმებით, სწორედ მყარი ფინანსური ბაზა იძლევა უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის უზრუნველყოფის მიმდინარეობის და სტრუქტურული სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის შესაძლებლობას, მაგრამ, ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სირთულეები შეიქმნა ფინანსური რესურსების მობილიზების მიმართულებით, რაც შესაბამისად აისახებოდა კიდევ უნივერსიტეტის ბიუჯეტებზე. როგორც ბიუჯეტის შედეგების ანალიზი ცხადყოფს - მცირდება უნივერსიტეტის შემოსავლები, იზრდება გასასწავლი ხარჯები და, შესაბამისად, მცირდება გარდასავალი ნაშთი. უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში (მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რაც გარდასავალი ნაშთის ჩათვლით 55 953 507 ლარს, ხოლო გადასახდელი 52 720 102 ლარს შეადგენდა) შრომის ანაზღაურებაზე გაწეული იყო ხარჯების 77,8%, კომუნალურ გადასახადებზე 5,2%, თანამშრომელთა დაზღვევასა და გადასახადებზე 3,4%. ეს ხარჯებია, რომელთა გაუნწევლობა ან შემცირება ყოველთვის დაუშვებელია უნივერსიტეტის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის. ამ გადაუდებელი ხარჯების გარდა, გასანაწილებელი დარჩა ხარჯების 13,6% (7,1 მლ ლარი), რაც საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისად, 100-მდე პოზიციებზე იქნა გადანაწილებული. აღნიშნული ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ უნივერსიტეტს ძალზე მცირე თანხა რჩება, რათა წლის განმავლობაში უზრუნველყოს: სარემონტო სამუშაოების, კომპიუტერების, ნიგნების, საწვავის შექმნის, სტუდენტთა აქტივობების, პრაქტიკის, ექსპედიციებისა და სხვა მრავალი ხარჯის სრულყოფილი დაფინანსება.

და მაინც, რამ განაპირობა უნივერსიტეტის შემოსავლების შემცირება?

— ბიუჯეტის შემოსავლების შემცირების ერთ-ერთ მიზეზია პროგრამული დაფინანსების წესში განხორციელებული ცვლილება. თუ „უფასო“ ფაქტორებზე სტუდენტებს სწავლის საფასურთან (2250 ლარი) ერთად ეძლეოდათ მოპოვებული სასწავლო გრანტის თანხაც, 2017/2018



როგორც ბიუჯეტის შედეგების ანალიზი ცხადყოფს - მცირდება უნივერსიტეტის შემოსავლება, იზრდება გასასწავლი ხარჯები და, შესაბამისად, მცირდება გარდასავალი ნაშთი. უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში (მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლება, რაც გარდასავალი ნაშთის ჩათვლით 55 953 507 ლარს, ხოლო გადასახდელი 52 720 102 ლარს შეადგენდა) შრომის ანაზღაურებაზე გაწეული იყო ხარჯების 77,8%, კომუნალურ გადასახადებზე 5,2%, თანამშრომელთა დაზღვევასა და გადასახადებზე 3,4%.

სასწავლო წლიდან ერიცხებათ მხოლოდ სწავლის საფასური და სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში მოპოვებული სასწავლო გრანტის შევება ხდება პროგრამული დაფინანსებით მხოლოდ 2250 ლარამდე. შედეგად, პროგრამული დაფინანსების წესის ცვლილებით გამოწვეულმა ფინანსურმა დაზარალებამ 2018/2019 სასწავლო წელს შეადგინა 2 მლნ ლარამდე, რაც მომდევნო ორი წლის განმავლობაში 4 მლნ ლარამდე გაიზრდება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში ფიქსირდებოდა სტუდენტთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია. შესაბამისად, მცირდებოდა შემოსავლებიც. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს თითქმის 1000 სტუდენტით მეტი მივიღეთ, მაგრამ მათი სემესტრული სწავლის საფასურის მატება — 1,2 მლნ. ლარი — მაინც ვერ ფარავს პროგრამული დაფინანსების შემცირებით მიღებულ დანაკლისს.

ასეთ პირობებში რა ნაბიჯები გადაიდგა ადმინისტრაციის მიერ?

— უპირველეს ყოვლისა, დავინწყეთ ზრუნვა ბიუჯეტის შევების ალტერნატიული რესურსების ამოქმედებაზე. ამ მხრივ ბიუჯეტის შევების შიდა წყაროდან აღსანიშნავია ის ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც განხორციელებულ იქნა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით. კერძოდ, გაიზარდა მეცნიერების კომერციალიზაციიდან, ქონების ქირავნობიდან და საჯარო მომსახურებიდან, უწყვეტი განათლების, გამოცემის და სხვა სტრუქტურების ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. განხორციელდა ადმინისტრაციული, წარმომადგენლობითი, მივლინების ხარჯების ოპტიმიზაცია. შემუშავდა ეფექტიანი სისტემა სტუდენტების სწავლის გადასახადის მობილიზებისა და დავალიანების მქონე სტუდენტების მხრიდან თანხის გადახდის მიმართულებით, მაგრამ აღნიშნული არაა საკმარისი ბიუჯეტის შემოსავლების გასაზრდელად. ამდენად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, გვეზრუნა ფინანსების დამატებითი მოზიდვის წყაროების მოძიებაზე. წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოსაგან შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების მოპოვების წესის შექმნის მიმართულებით. აღნიშნულის ინიციატორი, თავის დროზე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი იყო. სამუშაოები დასრულების სტადიაშია და იმედია, მომავალი წლიდან ახალი დაფინანსების წესი შევა ძალაში, რითაც უნივერსიტეტს მიეცემა შესაძლებლობა — გაზარდოს საკუთარი შემოსავლები. ასევე, აღსანიშნავია, რომ გაიზარდა უცხოეთიდან განმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, სახელმწიფო პროექტებიდან მოზიდული თანხების მოცულობა და ა.შ.

რა ღონისძიებები გატარდა უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების განსახორციელებლად?

— უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად იქნა მიჩნეული. ამ მიმართულებით ავაპოქმედეთ როგორც

საკუთარი რესურსები, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება. საკუთარი რესურსებით შევქმენით მთელი რიგი სარემონტო სამუშაოების ჩატარება. კერძოდ, გარემონტდა თსუ-ის ბიბლიოთეკის და მალღვივი კორპუსების კიბეები, სტუდენტთა სველი ნერტილები, ბიოლოგიის სასწავლო კორპუსის იატაკი, მალღვივი კორპუსის მეორე სართული და ა.შ.. სარემონტო სამუშაოებზე, საკუთარი სახსრებით, სულ გაწეული იქნა 1,1 მლნ ლარის ხარჯი. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, სარემონტო სამუშაოებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯა 4,8 მლნ ლარი. თანხების მოზიდვა რექტორის უშუალო ძალისხმევით შედეგია. აღნიშნული თანხა მოხმარდა მეორე კორპუსის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის და რაფიელ აგლაძის არაორგანიზებული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოებს.

ასევე, მნიშვნელოვანი სახსრები — დაახლოებით 800 000 ლარი — იქნა მიმართული შემდეგი პრიორიტეტის — საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე. ამ კუთხით განხორციელდა ბაკალავრიატის სასწავლო პროცესის ავტომატიზირებული სისტემის გადაყვანა ახალ, საერთო პლატფორმაზე (lms.tsu.ge). დასრულდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ინტერნეტ-სერვისის ოპტიკურ ბოჭკოვან პლატფორმაზე გადაყვანის პროცესი. შეიქმნა სატელეფონო საინფორმაციო სამსახური (ქოლ-ცენტრი). გაფართოვდა ელექტრონული საქმის წარმოების არეალი და ფუნქციონირება დაიწყო ბრძანებების შექმნის მოდული. ექსპლუატაციაში შევიდა ორი კომპიუტერული კლასი. განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის, სერვერული მოწყობილობების და ქსელის ინფრასტრუქტურის შესყიდვა „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ სასწავლო პროგრამის ლაბორატორიისათვის. ლისის საერთო საცხოვრებელი მოწყობილობის კომპიუტერული ცენტრი. შესყიდული და ფაქტურების მიხედვით გადანაწილებული იქნა 150 ცალი პერსონალური კომპიუტერი, 40 ცალი პროექტორი, 150 ცალი პრინტერი. უნივერსიტეტის მასშტაბით მოხდა VoIP სერვერზე მასობრივი გადასვლა, დამონტაჟდა 700 აპარატი და ა.შ.

მოგეხსენებათ, მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებაში, რადგანაც უძრავ-მოძრავი ქონება თითქმის ამორტიზირებულია, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილია. ამ მიმართულებით რას გვეტყვით თქვენს მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე?

— გეთანხმებით, რომ მძიმე მდგომარეობაა გვერგო. სახსრებიც არასაკმარისია ამ მიმართულებით ქონებისა და ტექნიკის რადიკალური განახლების განსახორციელებლად, მაგრამ ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ, საერთაშორისო გრანტიდან და სხვადასხვა პროექტებიდან უსასყიდლოდ გამოგვეცა 600 000 ლარის ღირებულების მოძრავი ქონება (კომპიუტერული ტექნიკა, ლაბორატორიული მოწყობილობები და სხვა აღჭურვილობები). ექსპლუატაციაში შევიდა უსასყიდლოდ გამოცემული 5 მლნ ლარის ღირებულების, ევრო-



პული სტანდარტების მქონე 320-ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის კომპლექსი. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კოორდინაციაში მიმდინარეობს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული ქონების გადმოცემის პროცედურები, გასულ წელს საკუთრებაში გამოგვეცა 20 ათასამდე კვ.მ ფართი. აქამდე არ იყო და მომზადდა და ამჟამადაც მიმდინარეობს კუთვნილი შენობა-ნაგებობების და მათზე დამატებული მიწის შიდა აზომვითი და საკადასტრო ნახაზების შემუშავება და სხვა.

ამასთან, ვმუშაობთ ქონების ჩანაცვლების პროექტებზეც. მომზადდა წინადადებები ენათმეცნიერების ინსტიტუტის და კონსტიტუციის ქუჩაზე არსებული შენობების ჩანაცვლების შესახებ (ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და მედიცინის ფაკულტეტის მოთხოვნების გათვალისწინებით).

რას გვეტყვით სტუდენტური ღონისძიებების მხარდაჭერაზე?

— როგორც ყოველთვის, გასულ წელსაც დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტური ღონისძიებების წარმართვისა და დაფინანსების საკითხებს. დაფინანსდა სტუდენტთა ჩართულობით განხორციელებული, შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი, კულტურული და სპორტული 130 პროექტი. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 54 პროექტიდან 28 პროექტი (52%) უნივერსიტეტის დოქტორანტებმა მიიღვეს. 600 000 ლარით დაფინანსდა უნივერსიტეტის წარმართული სტუდენტების სწავლის საფასური, დოქტორანტებს 800 000 ლარის შეღავათი გაენიჭათ სწავლის საფასურის გადახდაში, 500 000 ლარის ფარგლებში დაფინანსდა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში, პრაქტიკა-ექსპედიციებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ 300-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში. უცხოეთში მობილობისათვის სტიპენდია მიეცა 204 სტუდენტს. გაფართოვდა და განახლდა ორმხრივი თანამშრომლობის 39 ხელშეკრულება ევროპის და აზიის წამყვან უნივერსიტეტებთან. სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის პროცესის გამარტივების, გამჭვირვალობის გაზრდისა და დოკუმენტირების ელექტრონულ მოდელზე გადასვლის მიზნით, უნივერსიტეტის დაკვეთით, ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ შეიქმნა პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი.

სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, დიდი ყურადღება დაეთმო სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხს. ჩვენი გამოცემლობის მიერ სულ გამოიცა 53 სახელმძღვანელო, მათ შორის — 7 ნათარგმნი და 22 ელექტრონული სახით.

ზეპირსიბყვიარი აზვებით გაცოცხლებული 14 აპრილი



გიორგი ალიბეგაშვილი



ანა ბაქანიძე



WHERE 'EVERY PEASANT IS A PRINCE'



თინათინ ბოლქვაძე

1-ლი გვერდიდან

1977 წელს დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების რუსიფიკაციის დაჩქარება. ამ პრინციპიდან გამომდინარე, 1978 წელს შედგა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ჰქონდა მინიჭებული, ანუ დედა ენა რუსული ენით უნდა ჩანაცვლებულიყო.

სხვადასხვა დაწესებულებებში კონსტიტუციის ახალი პროექტის საჯარო განხილვები მოეწყო. ბევრს არც კი შეუშინებია კონსტიტუციის 75-ე მუხლში მომხდარი ცვლილება. ერთ-ერთმა პირველმა, ვინც ამ საკითხზე პროტესტი ხმამაღლა გამოთქვა, აკაკი ბაქრაძე იყო. ცუკას პროპაგანდის განყოფილების ორგანიზებით მოწვეულ თათბირზე, აღნიშნულ თემაზე მსჯელობისას, მან შევარდნაძეს ასეთი სიტყვები უთხრა: თუკი ქართულს კონსტიტუციურად ართმევენ სახელმწიფო ენის ფუნქციას, მაშინ ჩვენი ხალხიც მოიქცევა მდგომარეობის შესაბამისად.

ქართველთა პროტესტი მაშინ დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან, საიდანაც აგორდა საერთო სახალხო წინააღმდეგობრივი მოძრაობა. კონსტიტუციის ახალი პროექტის გასაპროტესტებლად სპონტანურად გაერთიანებული სტუდენტური ჯგუფების გარდა, უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე არსებობდა არალეგალური ოჯგუფი, რომელშიც განვერდიანებული იყვნენ თამარ ჩხეიძე, გია ჭანტურია, გელა ნიკოლეიშვილი, გია ჩხიკვიშვილი და სხვები. ეს ჯგუფი უკვე იდუარდა იყო მომზადებული საბრძოლველად, როცა ქართული ენის გადარჩენის საკითხი დადგა. ამ მოძრაობას მხარი აუბა უნივერსიტეტში დაარსებულმა „ახალგაზრდა მწერალთა წრემაც“. ფილოლოგიის ფაკულტეტიდან გააქტიურდნენ სტუდენტები: თამარ მახარობლიძე, ნოდარ გრიგალაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, დარეჯან თვალთვაძე, გიორგი ალიბეგაშვილი და სხვები... უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც და პროფესურაც ფარულად უჭერდა მხარს სტუდენტური ჯგუფების აქტიურობას. როგორც ფაქტების მომსწრენი ყვებიან, განსაკუთრებით აქტიურობდნენ არნოლდ ჩიქობავა, ბესიკ ჯორბენაძე, ლადო მინაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, დამანა მელიქიშვილი, გრიგერ ფარულავა, რევაზ სირაძე და სხვანი... უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს დავით ჩხიკვიშვილს, ზემოდან დავალების მიუხედავად, სტუდენტების სანინააღმდეგოდ არანაირი მოქმედება არ განუხორციელებია... ეს ის სახელებია, რომელიც 14 აპრილის მოვლენებისას უნივერსიტეტის კედლებმაც დაიმახსოვრა, რადგან მათზე და არა მხოლოდ მათზე იდგა ქართული ენის გადარჩენის ბედი.

მეხსიერებით გაცოცხლებული ისტორია

„მეორე კურსელი ვიყავი მაშინ, როდესაც 14 აპრილის მოვლენები ხდებოდა. ისეთი აქტიური არ ვიყავი, როგორც წინა კურსელები, მაგრამ საპროტესტო აქციებში მეც ვიღებდი მონაწილეობას, რა თქმა უნდა.“

14 აპრილი იმით არის გამორჩეული, რომ ეს დღე გამარჯვებით დასრულდა, რადგან ერი ერთ მუშტად იყო შეკრული. მახსოვს, იმ დღეს, როდესაც უკვე მთავრობის სახლისკენ უნდა წავსულიყავით, როგორ იყო დაძრული ვარაზის ხევიდან ახალგაზრდობა: მოდიოდნენ ე.წ. გეპეის და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები; ჭაჭაჭაძის გამზირიდან — ჭაჭაჭაძის სახელობის უცხოენათა ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, მაშინდელი პუშკინის სახელობის ინსტიტუტის ახალგაზრდები... ეს ყოველივე ქაოტურ სახეს იღებდა, მაგრამ, ამ დროს, ეს იყო ერთსულად და ერთგულად გაერთიანებული ახალგაზრდობა. ეს იყო, მართლაც, ბენვის ხიდეზე, დანის პირზე გავლა, რადგან საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ ძლიერი იყო“, — ამბობს ქართული ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილი.

საბჭოეთის ისტორიაში 1978 წლის 14 აპრილის ფართომასშტაბიანი მსვლელობა მთავრობის სასახლისკენ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ უსისხლო აქციად, რომელმაც სანადევს მიაღწია. საპროტესტო აქციის ყველა მონაწილემ იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისგან ხიფათი მოსალოდნელი იყო, მაგრამ მას მაინც არავინ შეუშინდა. დროთა განმავლობაში, ქართული ენის დაცვისთვის ბრძოლაში გამოიკვეთა ედუარდ შევარდნაძის ფაქტორიც. იგი მაშინ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის პირველი მდივანი იყო.

როგორც ქართული ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აცხადებს, „ათეული წლების გავლის შემდეგ გაირკვა, რომ შევარდნაძეს ამ პროცესში მართლაც დიდი როლი უთამაშია: მას რომ მოენდომებინა და უფრო მეტი მორჩილება გამოეხატა იმდროინდელი საბჭოთა იმპერიის მიმართ, ბუნებრივია, სისხლი დაიღვრებოდა“.

რეაქციები ამერიკულ პრესაში

იმდროინდელი ამერიკული საზოგადოება ვერ იჯერებდა საბჭოთა სივრცეში ხალხის ღია პროტესტის შესაძლებლობას და საბჭოთა ხელმძღვანელობის უკან დახევას. ეს რეაქციები კარგად გამოჩნდა მაშინდელ ამერიკულ

პრესაში, რომლის თაობაზეც უნივერსიტეტის პროფესორს თინათინ ბოლქვაძეს კვლევაც აქვს ჩატარებული. მას განხილული აქვს ამერიკელების მიერ გაზეთებში გამოქვეყნებული თითოეული სტატია, რომელიც საქართველოში მიმდინარე ამრილის მოვლენებს მიეძღვნა.

რას ამბობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი თინათინ ბოლქვაძე?

„1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ („New York Times“) ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. 15 აპრილს უკვე გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „საბჭოთა ქართველები ქუჩაში გამოვიდნენ სახელმწიფო ენის დასაცავად“. ამერიკელები გაცოცხლებული არიან ამ ფაქტით. ეს ხდება იმ დროს, როდესაც შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება, როცა საშიშროებაა სამხედრო მანქანის ამოქმედებისა. ერთ-ერთი რესპონდენტი, დემონსტრაციის მონაწილე დაუფარავად ამბობს ინტერვიუში, რომ „ღმერთს მაღლობას შესწირავს, თუ მომიტინგეებს არ ესვრიან“. სტატიაში ავტორი 1978 წლის გამოსვლებს განიხილავს ფართო ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში. ავტორი ქრეიგ ვიტინი სტატიაში, ასევე, საუბრობს ქართველების რუსეთთან შეერთების მიზეზებზე, რომელიც, მისი აზრით, გამოწვეული იყო მუსლიმანური დეგრადაციისაგან თავის დასაღწევად. სხვა შემთხვევაში ქართველები არავითარ შემთხვევაში არ ისურვებდნენ რუსეთთან ალიანსს. ქრეიგ ვიტინი ამ თემაზე სტატიას 18 აპრილსაც აქვეყნებს სათაურით „საბჭოთა ქართველებმა გაიმარჯვეს ენის საკითხში“.

ავტორი ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანდის, რომ 14 აპრილს, ორი ამერიკელი კონგრესმენი, რობერტ მაკკეი და ერიკ რიემენი ჩამოვიდნენ საქართველოში. ისინი პირდაპირ ქუჩაში ესაუბრებოდნენ პროტესტანტებს. მათი თქმით, საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობას, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებდნენ. ასევე საინტერესოა სტატიის ის ნაწილი, რომელშიც საუბარია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძესა და სტუდენტებს შორის გამართულ დიალოგზე. ე. შევარდნაძემ სიტყვით მიმართა სტუდენტებს: „შვილებო, რა გინდათ, რატომ აკეთებთ ამას?“ დემონსტრანტებმა კი წინა რიგებიდან ასე უპასუხეს: „ჩვენ არ ვართ თქვენი შვილები!“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ნუ ეცდებით ასეთი „მამაშვილური“ საუბრით ჩვენი გულის მოგებას. უმჯობესია კონსტიტუციაში აღდგეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი“, — აგრძნობინეს სტუდენტებმა ხელისუფლებას. 14 აპრილის თემას „ნიუ-იორკ ტაიმსი“ დეკემბრის თვეშიც უბრუნდება. გარდა ამისა, ამ მოვლენის შესახებ წერდნენ სხვა გამოცემებიც: „ჩიკაგო ტრიბუნი“ და „ტორონტო“, სადაც ავტორი სა-

ქართველოს „ღირსეულ, კავკასიურ რესპუბლიკას“ უწოდებს. სწორედ აქ იყო ასეთი პროტესტი მოსალოდნელიო, — წერს ჟურნალისტი.


უცხოურ პრესაში ამ და სხვა გამომართებების შესახებ აქვს სწორედ ვრცელი კვლევა მომზადებული პროფესორ თინათინ ბოლქვაძეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ყოველ წელს უკვე ღიად იხსენებენ 14 აპრილს, როგორც ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანეს დღეს. თუმცა მოგონებების და 14 აპრილს თავს დადებდნენ ისტორიების ერთად თავმოყრა სულ ახალხანს მოხერხდა. 6 ბათუმელის და 42 თბილისელის ზეპირი ამბებით გაცოცხლებული 14 აპრილის მოვლენები შესულია ნიგნში, რომელიც მოიცავს კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვისას ქართველ მეცნიერთა და მწერალთა მიერ სხვადასხვა უწყებაში წარმოთქმულ სიტყვებს, საარქივო მასალებს, სტატიებს. ნიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ფილოლოგმა ანა ბაქანიძემ.

კანონი სახელმწიფო ენის შესახებ 2015 წელს მიიღეს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი კი უკვე წელიწადზე მეტია, რაც შეიქმნა და გაჩნდა მოლოდინი, რომ ახლა მაინც დაიწყება ქართულ ენასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემური საკითხის მოგვარება.

ქართული ენის გადარჩენისთვის ბრძოლაში უნივერსიტეტი ისევ პირველია... სწორედ უნივერსიტეტის კედლებში გაჩაღდა მოძრაობა ქართულ ენაში შემოჭრილი ბარბარიზმების წინააღმდეგ და წლებია უკვე, ამ მოძრაობას პროფესორი თინა მარგალიტაძე ხელმძღვანელობს. მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ბარბარიზმების ლექსიკონი, რომელშიც 1100 რუსული თუ ინგლისური წარმოშობის ბარბარიზმი და, იქვე, სწორი ქართული შესატყვისებია შესული. სოციალურ ქსელში კი შექმნილია გვერდი, რომელზეც იტვირთება სამეცნიერო-პოპულარული სტატიები ენაში მიმდინარე პროცესებზე... მართალია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ ჩვენ ის მაინც შეგვიძლია, ამ მერცხალს, მიზეზთა გამო, ჭიკჭიკის სურვილიც არ გავუქროთ და ვთქვათ — მისი გაკეთებული საქმე დღეს თითქმის იგივეა, რაც 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების კვალბაზე დამდგარი შედეგი... მთავარია, სულ უკან არ ვიყოფებით და წინაც გვედოს მომავალი თაობისთვის ჩვენი სათქმელი — რომ შენც დაიცავი ქართული ენა ისე, როგორც ეს მე გავაკეთე და ის კიდევ ერთხელ გადავარჩინე...

მომზადა ნინო კაკულია



არნოლდ ჩიქობავა



ლადო მინაშვილი



ზურაბ ჭუმბურიძე



დამანა მელიქიშვილი



გრიგერ ფარულავა



რევაზ სირაძე



დავით ჩხიკვიშვილი



წარმომადგენლობითმა საბჭომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიში დააბეჭდა

ინტერვიუში ასახული ფაქტები (შედეგები, მიღწევები, გამოწვევები)

მე-2 გვ-და

ასევე, აქტიური იყო სტუდენტთა სპორტული ცხოვრება. თითქმის ყოველი მესხეთე სტუდენტი ჩართული იყო სპორტულ ღონისძიებებში. პირველი ადგილები დაიკავა უნივერსიტეტის ფუტსალის და კალათბურთის გუნდებმა, უნივერსიტეტის სპორტსმენებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს: ფრენბურთში, ქვიშის სპორტულ თამაშებში, კალათბურთში, ზაფხულის „უნივერსიადა 2018-ის“ 17 სპორტულ დისციპლინაში.

— 2018 წელი საიუბილეო წელი იყო უნივერსიტეტისთვის. ამ მხრივ რა ღონისძიებები განხორციელდა?

— გამორჩეული იყო 2018 წელი. წინა წლებში დაწყებული საიუბილეო მოსამზადებელი სამუშაოების რეალიზება 2018 წელს წარმატებით შეეძლო. მარტო ის ფაქტია საგულისხმო, რომ უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებს საქართველოსა და უცხოეთის 50-ზე მეტი ქვეყნიდან მონაწილე სტუმარი ესწრებოდა, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. ასევე, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში გაიმართა 200-მდე ღონისძიება, მათ შორის, უნივერსიტეტის ორგანიზებით — 60. უნივერსიტეტმა ღირსეული ადგილი დაიკავა საერთაშორისო რეიტინგში, სადაც იგი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია რეგულარულად, რომელიც 500 საუკეთესო შორის არის და მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის.

— მიუხედავად იმ პრობლემური საკითხებისა, რაზეც ისაუბრეთ, ბოლო წლებში საგრძობლად ამაღლდა უნივერსიტეტის ავტორიტეტი, რასაც ადასტურებს სწორედ საერთაშორისო რანჟინგების სისტემაში მოპოვებული ადგილი. კონკრეტულად რა ფაქტორებმა იქონია გავლენა ამაზე?

— ამ მიმართულებით მთელი რიგი საიმპიჯო აქტივობები გატარდა. კერძოდ, ჩატარდა გაცვლითი და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების 1000-ზე მეტი აქტივობა. მასპინძლობა გაენია 197 უცხოური დელეგაციის ვიზიტს უნივერსიტეტში. თვეში საშუალოდ 400-700 საინფორმაციო მასალა ვრცელდებოდა უნივერსიტეტის შესახებ. პროექტ „უნივერსისი“ ფარგლებში მომზადდა 37 გადაცემა. წლის განმავლობაში გაზეთ „კვირის პალიტრაში“ მომზადდა ოთხგვერიანი 11 საგაზეთო ჩანართი, თითოეული გავრცელდა 25 000 ტირაჟით. სოციალურ ქსელში 140 000-ზე მეტი მომხმარებელი იღებდა ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, საერთაშორისო ზაფხულის სკოლის ფარგლებში მასპინძლობა გაენია ამერიკის უნივერსიტეტის სტუდენტებს. მოენყო „ახალგაზრდა ნატურალისტთა“ საერთაშორისო საზაფხულო ბანაკი. „საბავშვო



შოთა რუსთაველის საქართველო პროვალის სამეცნიერო ფონდის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების საზრუნავი ხორციელდა 21 საგანმანათლებლო-შემეცნიერებელი პროგრამა და სხვა.

— რას გვეტყვით სამეცნიერო-კვლევით, ინოვაციურ და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობაზე?

— ამ მხრივაც მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. კერძოდ, უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, გამოაქვეყნა 100-მდე პუბლიკაცია. უნივერსიტეტის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 500-ზე მეტი სტატია. ერთობლივ კვლევაში ჩართული იყო 3 000-მდე უცხოელი მეცნიერი. უნივერსიტეტში მუშავდება 224 საგრანტო პროექტი, მათ შორის 193 ეროვნული სამეცნიერო ფონდის და 31 საერთაშორისო გრანტი. 2018 წელს ინოვაციური საქმიანობის და ინოვაციური იდეების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა დამხმარე სამეცნიერო ერთეული — ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი. მოენყო „აკადემიკ ვეროპეას“ სამუშაო სივრცე და ა.შ.

რაც შეეხება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობას, უნივერსიტეტი, 7 ფაკულტეტის ფარგლებში, ახორციელებდა 231 საგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აქედან 21 საგანმანათლებლო პროგრამა უცხოეთში იყო. გასულ წელს აკრედიტებული იქნა 4 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა. საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა 5 საგანმანათლებლო პროგრამას. განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების რეგულაციები. მიმდინარეობდა სისტემური სამუშაოები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

— თანამშრომელთა შორის დიდ ინტერესს იწვევს უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვის სისტემის სრულყოფა. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ თქვენს კომენტარს.

— უნივერსიტეტმა მოიპოვა 6-წლიანი სრული და უპირობო ავტორიზაცია. „უნივერსიტეტი გამოხატავს ღირსეულ ამბიციას, რათა გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და დაამკვიდროს ქვეყნის ხარისხის კულტურა, რაც მართლაც მნიშვნელოვანია არა მარტო განათლებისა და კვლევისათვის, არამედ მთელი მმართველობითი პროცესისათვის“, — აღნიშნულია ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაწყებულია სამუშაოები, რათა ნაკლები ბიუროკრატიისა და ხარჯების შემცირების გზით მიღწეულ იქნას: ადმინისტრაციული და მმართველობითი სამსახურების საქმიანობის მეტი ეფექტიანობა; ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა და მართვის პროცესის მოდერნიზაცია; ამოცანაზე ორიენტირებული მენეჯმენტი; ფუნქციური დეცენტრალიზაცია და „მცირე ადმინისტრაციის“ მოდელის შემუშავება-დანერგვა. უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის პროცესების განვითარების მიზნით, მიმდინარე წელს, რექტორის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი,

რომელმაც უნდა უზრუნველყოს რეკომენდაციების მომზადება მმართველობითი სტრუქტურების ოპტიმიზაციის მიმართულებით.

— რისი გავლენა ვერ მოასწარით და რა სამუშაოა დაწყებული სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად?

— მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს მნიშვნელოვანი და შეზღუდული ფინანსური რესურსებით, რექტორის უშუალო მხარდაჭერით, ადმინისტრაციის მიერ დიდი მოცულობის სამუშაოები განხორციელდა, უკმარისობის გრძნობა ნამდვილად არსებობს. ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი და გათავისებული გვაქვს პასუხისმგებლობა, რაც ადმინისტრაციას აკისრია. მივდამოკიდებები, რომ ეს მოხდება ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ერთობლივი ძალისხმევით და, რა თქმა უნდა, სტუდენტების ჩართულობით, შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვით.



უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის პროცესის განხორციელების მიზნით, მიმდინარეობდა 231 საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხოეთში იყო. გასულ წელს აკრედიტებული იქნა 4 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა. საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა 5 საგანმანათლებლო პროგრამას. განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების რეგულაციები. მიმდინარეობდა სისტემური სამუშაოები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა სამოქმედო გეგმა, რომლის რეალიზაციაც მიმდინარეობს ცენტრალური ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სფეროების შესაბამისად. გრძელდება აუდიტორული კომპანია „Preice Water house Coopers“-ის მიერ ჩატარებული ორგანიზაციული ეფექტიანობის ანალიზისა და შემუშავებული რეკომენდაციების და ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილი ორიენტირებული მენეჯმენტის უზრუნველყოფა და ეფექტიანობაზე დამყარებული ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მუშაობა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა

და სპორტის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, გრძელდება სამუშაოები სახელმწიფოსგან შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების მოდელის სრულყოფის მიმართულებით. საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის მიზნით, მზადდება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის ახალი წესი. მიმდინარეობს მონაცემების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასადგენად და თითოეული პროგრამის საფასურის განსაზღვრად. მუშავდება გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის სრულყოფილი სახელფასო პოლიტიკის გატარებას უნივერსიტეტის ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. მიმდინარეობს ღონისძიებები სტუდენტთა მიმსახურების სერვისების გაუმჯობესების, სტუდენტური საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-სპორტული პროექტებისა და აქტივობების ფინანსური მხარდაჭერისთვის.

წარმომადგენლობით საბჭოზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის მოსმენის შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრებმა: ალექსანდრე გაბაშვილი, თამარ ლაშხაძე, ზაზა კვიციანი, დიმიტრი ჩიტიანი, მიხეილ რუხიაძე, ლუკა ონიანა, შოთა კუყურაშვილი, არჩილ ჯავახიშვილი, ნაზირა კაკულიანი, ბეჟან თუთბერიძე და კახაბერ ლორია. საბჭოს წევრებმა კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში არსებული ნაკლოვანებების, ლექციების გაცდენის ფაქტების, ადმინისტრაციის ოპტიმიზაციის პროცესის რეალიზების, ზოგიერთ ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების მდგომარეობის თაობაზე. დაისვა კითხვები უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გაშუქებისა და საუნივერსიტეტო ახალი ამბების სოციალურ ქსელში მეტად ხელმისაწვდომობის აუცილებლობის შესახებ.

საბჭოს წევრები, ასევე, შეეხნენ კონკრეტული პროექტების დაფინანსების საკითხს. ითქვა, რომ უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახური მეტად უნდა დაინტერესდეს ლექციების გაცდენის მიზეზებით და, საჭირო შემთხვევაში, მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს დისციპლინარული გადაცდომების მიმართ.

დასმულ კითხვებს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უპასუხეს. უნივერსიტეტის კანცლერმა ნუნუ ოვსიანიკოვამ მზადყოფნა გამოთქვა — წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან და სტუდენტებთან ერთად დეტალურად განიხილოს პრობლემური საკითხები, რათა დაისახოს მათი გადაჭრის რეალური და რაციონალური გზები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიში ერთხმად დაამტკიცა.



უნივერსიტეტის ახალი წელი უნდა პარალელურად, სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, გამოაქვეყნა 100-მდე პუბლიკაცია. უნივერსიტეტის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 500-ზე მეტი სტატია. ერთობლივ კვლევაში ჩართული იყო 3 000-მდე უცხოელი მეცნიერი. უნივერსიტეტში მუშავდება 224 საგრანტო პროექტი, მათ შორის 193 ეროვნული სამეცნიერო ფონდის და 31 საერთაშორისო გრანტი.



ქართული ერის „კასკობი“ ცივილიზებულ სამყაროში

ცირა ბარამიძე პროექტი – „ახვასიურ ენათა სამეცნიერო-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ – წარაღვინა

2019

წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შედგა პროექტის „კავკასიურ ენათა სამეცნიერო-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ განხილვა. პროექტი წარადგინა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლები, მეცნიერები. გაიმართა მსჯელობა პროექტის განსახორციელებლად ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე. კომიტეტის ხელმძღვანელობამ ხაზი გაუსვა პროექტის სამეცნიერო და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და გამოთქვა მზაობა პროექტის მხარდასაჭერად. პროექტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ-ის ეტიმოლოგიური კვლევების ცენტრი, სოსხუმის უნივერსიტეტი და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ცირა ბარამიძის ინფორმაციით, საქართველოში ეტიმოლოგიური ლექსიკონი უნდა შექმნილიყო XX საუკუნის ბოლოს, მაგრამ ამის განხორციელება არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ვერ მოხერხდა. ქართველ ერს დღემდე არ გააჩნია ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მით უმეტეს, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. სწორედ ეს უსვამს ხაზს პროექტის („კავკასიურ ენათა სამეცნიერო-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“) აქტუალობას.



პროექტის მიზანია, შეიქმნას კავკასიურ ენათა სამეცნიერო-ეტიმოლოგიური ელექტრონული ლექსიკონი, რომლის პირველ საფეხურად სწორედ ქართული ენის (როგორც კავკასიურ ენათა შორის ერთადერთი უძველესი დოკუმენტური, სადამწერლობო ტრადიციის მქონე ენა) სალექსიკონო ერთეულების ინდექსი არის გამოყენებული. ცირა ბარამიძის ინფორმაციით, სამუშაო ეტაპები სამ ნაწილად იყოფა: ქართული, ქართველური და იბერიულ-კავკასიური. ლექსიკონი იყოფა ორ ნაწილად: ინდექსი და ეტიმოლოგია. პირველ ინდექსში თავს იყრის ერთი ძირის შესახებ არსებული ყველა საეტიმოლოგიო ინფორმაცია ყველა ავტორის მიხედვით. ეტიმოლოგია — ამ ბაზაში მეცნიერ-ეტიმოლოგისტები არსებული მასალების მიხედვით აკეთებენ საბოლოო ეტიმოლოგიას ქართულ-კავკასიურ ენათა კონკრეტული ენობრივი მასალის ლექსიკონური ერთეულის შესახებ, რომელიც ითარგმნება ინგლისურ და რუსულ ენებზე, მონაცემები კი ელექტრონული ბაზების სახით განთავსდება ერთ ბაზაში. ძებნა შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ძირის მიხედვით სამივე (ქართულ, ინგლისურ და რუსულ) ენაზე.

ცირა ბარამიძის თქმით, პროექტი ინოვაციურია, რადგან პრინციპულად განსხვავდება მსოფლიოში დღემდე არსებული ეტიმოლოგიური ლექსიკონებისაგან (საძიებო სისტემით სამი ენის, ინდექსის, პარამეტრების მიხედვით). „პროექტი შეფასდა ათასწლეულის გამოწვევად ქართული სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით რთული გეოპოლიტიკური არეალისა და დღეს არსებული ვითარების გამო. ამასთან, პროექტი სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობისაა, რადგან საქართველო არის კავკასიოლოგიის საერთაშორისოდ აღიარებული ცენტრი და აღნიშნული ამოცანის გადაჭრა მისი პრეროგატივა და უპირველესი მოვალეობაა. მას, ასევე, სამეცნიერო და, ამავედროულად, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს არის ქართველი ერის „კასკობი“ ცივილიზებულ სამყაროში“, — აღნიშნავს ცირა ბარამიძე.

საერთაშორისო სამეცნიერო ინტერესი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხთან მიმართებით დღითიდღე იზრდება. ქართული ენის (ქართველური ენების) კავკასიურ ენებთან ნათესაობის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როდესაც შედგება კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ამასთან, ლექსიკონი მნიშვნელოვანი იქნება კავკასიელი ხალხების კულტურის ისტორიის შესწავლისათვისაც. იგი განსაზღვრავს კავკასიური ლინგვო კულტურული ერთობის ერთიერთ მიმართების საკითხს სხვა ენობრივ (ინდო-ევროპულ, სემიტურ, თურქულ-ალთაურ, ურალურ, დრავიდულ) ოჯახებთან.

მომზადდა
შურისია ბაროშვილი

პროფესორ რიგელს ჰალილის ლექსიკონი უნივერსიტეტში

მაია ბორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი, ალექსანდრე რონდელის სახელობის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, ვარშავის უნივერსიტეტის (პოლონეთი) აღმოსავლეთ ევროპული კვლევების ცენტრის ანთროპოლოგსა და ისტორიკოსს, დოქტორ რიგელს ჰალილის მასპინძლობს. იგი 12 მარტს ჩამოვიდა თბილისში და 8 აპრილამდე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ლექციებს ინგლისურ ენაზე კითხულობდა. აღნიშნული მოხილვა თსუ-სა და ვარშავის უნივერსიტეტის (პოლონეთი) აღმოსავლეთ ევროპული კვლევების ცენტრის შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა. რიგელს ჰალილის მასპინძლობას უწევდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ნინო ჩიქოვანი.

დოქტორ ჰალილის სალექციო კურსი ეძღვნებოდა თემათ: „კომუნიზმის გახსნება პოსტკომუნისტურ ევროპაში. იდეები, სოციალური პრაქტიკა და ყოველდღიური ცხოვრება“ („Memory of Communism in Post-communist Europe. Ideas, Social Practices and Everyday Life“). როგორც ჩვენთან საუბარში პროფესორმა ნინო ჩიქოვანმა აღნიშნა, ზოგადად, რიგელს ჰალილის კვლევის სფერო მრავალფეროვანია, მაგრამ ერთ-ერთი მიმართულება, რომელზეც იგი მუშაობს, ესაა მეხსიერების კვლევები პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში. ამჯერად მან თსუ-ის კულტურის კვლევების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტს შესთავაზა თემა, რომელიც ინსტიტუტისთვისაც საინტერესო იყო — „კომუნიზმის მეხსიერება პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპაში“.

„იშვიათად ხდება ასეთი რამ, რომ სალექციო თემა ზუსტად დაემთხვეს კვლევით პროექტს, რომელზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით და, ასევე, თანხედრამი იყოს ამ სემესტრში მიმდინარე სასწავლო კურსთან, რომელსაც ჰქვია „კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა“. ამ დამთხვევამ შესაძლებლობა მოგვცა,

რომ სრულიად უმტკივნეულოდ შეგვეთავსებინა მისი ლექციები და ჩემი საგანი მაგისტრანტებთან. გარდა ამისა, მის ლექციებს ესწრებიან დოქტორანტები და, სურვილის შემთხვევაში, ბაკალავრები“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ნინო ჩიქოვანმა.

რიგელს ჰალილი თბილისში გულდასმით მომზადებული ჩამოვიდა. იმ სასწავლო ლიტერატურასთან ერთად, რომელიც კულტურის კვლევების ინსტიტუტში ინახება და ამ დარგში კლასიკადაა მიჩნეული, თავადაც ჩამოიტანა ელექტრონული რესურსები, სტატიები და ნიგუნები, რომლებსაც უმურველად უზიარებს სტუდენტებს.

საგანი, რომელსაც დოქტორი რიგელს ჰალილი კითხულობს, მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის სავალდებულოა, მაგრამ მის ლექციებზე მსმენელთა გაცილებით დიდი რაოდენობა იყრის თავს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თემა საინტერესოა კულტურის კვლევებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისთვისაც.

„ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა დასწრების მსურველთა მასშტაბი. ვიცოდი, რომ ჩვენი სტუდენტები კულტურის კვლევებით დაინტერესდებოდ-



რიგელს ჰალილი

ნენ, მაგრამ სხვებიც ბევრი ესწრებიან, მათ შორის მომავალი ისტორიკოსები და პოლიტიკის მეცნიერებების სტუდენტები. აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ ჩვენი სტუდენტები თეორიულად კარგად არიან მომზადებულნი და ლექციებზე ძალიან აქტიურობენ — ერთგვრიან დისკუსიაში, სვამენ კითხვებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს. სხვათა შორის, ამ ლექციებს ჩვენც ვესწრებით, რადგან ჩვენთვისაც ძალიან საინტერესოა განსხვავებული პერსპექტივა, განსხვავებული გამოცდილება და პროცესის სხვა მოზიციიდან დანახვა“, — თქვა ნინო ჩიქოვანმა.



ნინო ჩიქოვანი



დოქტორმა რიგელს ჰალილმა სალექციო კურსი 7 აპრილს დაასრულა. შუალედურ გამოცდებამდე სტუდენტებს მის მიერ მიცემული დავალებების შესრულება მოუწევთ, სემესტრის მეორე დეკადაში კი პროფესორი ნინო ჩიქოვანი გააგრძელებს კოლექტიურ მეხსიერებასა და იდენტობის პოლიტიკაზე საუბარს.

სულ ცოტა ხანში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც მსოფლიოს სხვა მეცნიერებთან ერთად, რიგელს ჰალილიც გვეწვევა. თსუ-ის კულტურის კვლევების ინსტიტუტი მასთან ერთად სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობასაც გეგმავს, რაც უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობას კიდევ უფრო გაზრდის.



ლევან გიგინეიშვილის საჯარო ლექცია მერაბ მამარდაშვილი



თავარ ლაღიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, საჯარო ლექციათა ციკლის ფარგლებში, თსუ-ის პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „მერაბ მამარდაშვილი და თანამედროვე ფილოსოფია“. ღონისძიებას სტუდენტები, პროფესორები და მონვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„მერაბ მამარდაშვილისთვის ფილოსოფია არ იყო ფოდა თანამედროვე და ძველ ფილოსოფიად. ფილოსოფია მისთვის იყო ერთი დიდი ტრადიცია, რომელსაც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა გამოწვევები ჰქონდა. ეს იყო ამ გამოწვევებზე საპასუხოდ გონების ძალისხმევით შექმნილი ახალი ხედვის კუთხეები, მექანიზმები სამყაროს შეცნობის, სამყაროს კონსტრუირების, რამაც შეუქცევლად გაამდიდრა და უფრო ნიუანსური გახადა ჩვენი ხედვა სამყაროზე. მამარდაშვილი ის ფილოსოფოსია, რომელიც ცხოვრებისეულად უდგებოდა ფილოსოფიას და ფიქრობდა ცხოვრების საზრისზე“, — ამ სიტყვებით დაიწყო პროფესორმა საჯარო ლექციამ, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ქართველი ფილოსოფოსის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მამარდაშვილის ფილოსოფიაზე, რომლის საყრდენს წარმოადგენდა ცნობიერების ფენომენი და მისი მნიშვნელობა ადამიანის ჩამოყალიბებაში. მან, ასევე, მსმენელს გააცნო ახალი აქცენტები და ახალი მიმართულებები ფილოსოფიაში: ეგზისტენციალიზმი, ფენომენოლოგია, სტრუქტურალიზმი და სხვა. ასევე გაიხსენა მერაბ მამარდაშვილის შეხედულებები ფილოსოფიის შესახებ — მისი თვალთახედვით, ფილოსოფია არის აზრის დაბადების პროცესი, გარკვეული აზროვნებითი აქტი და არა მშრალი თეორია და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური აპარატი, რომელიც აზროვნების აქტის შემდგომ და შედეგად ყალიბდება, არამედ ამ შედეგებამდე არსებული აზრის სტიქია, რეალობის ფილოსოფიური გააზრების მამაცური აქტი. სწორედ ასეთ აზრს თვლიდა იგი ჭეშმარიტ ფილოსოფიად. როგორც პროფესორმა აღნიშნა, მერაბ მამარდაშვილი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა აზროვნების აქტს. „ისე უნდა ვიზაროვნო, რომ საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში არ მოვიდე“, — ასე ამბობდა თვითონ ფილოსოფოსი.

„პატივი მერგო დაგესწრობოდი მერაბ მამარდაშვილის 3 ლექციას და ყოველთვის მქონდა განცდა, რომ მისი დამოკიდებულება ფილოსოფიასთან არ იყო დამკვირვებლური, არც იმას გვასწავლიდა — თუ როგორ მივუდგეთ ცხოვრებას ფილოსოფიურად. თვითონ ლექცია იყო მისი ცდა ფილოსოფიაში: ლექციის დროს თავად ფიქრის ნაკადში შევყავდი, გიქმნიდა უცნაურ, თითქოს მაგიურ განცდას, რომ ეს ნაკადი შენსავე ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან მოდიოდა რეზონანსში და ეს გამოცდილება ფილოსოფიის შუქზე გამოჰყავდა... ამდენად, მის ფილოსოფიას თუთიყუშით ზეპირად ვერ გადმოსცემ, უნდა ეცადო და ძალისხმევა მიაყოლო ამ ფიქრს, რათა გახდეს თანამონაწილე, თანაშემოქმედი მისი ნაზრებისა. მას შეუძლია, ის, რაც სხვა ფილოსოფოსში არ მოგონს, უცებ იმ მოულოდნელი და ლამაზი კუთხით დაგანახოს, რომ იტყვი — დიას, ეს მართლა შეიძლება ასეც დაინახო. მერაბ მამარდაშვილი პარადოქსულად აკრისტალბებს სხვა ფილოსოფოსის აზრებს და ისეთ სიღრმეში შედის, რომ სრულიად განსხვავებულად დაგანახებს ნააზრევს. იგი გაჩვენებს — თუ რამხელა შინაგანი ერთობა ჰქონიათ გარეგნულად და ზედაპირზე დაპირისპირებულ და თითქოს ურთიერთგამომ-



რიცხავ ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომელსაც შენ აქამდე ვერც ამჩნევდი“, — აღნიშნა ლევან გიგინეიშვილმა, რომელმაც საუბრის დროს ერთმანეთისგან განსხვავებული ფილოსოფოსების: ნიცშესა და მარქსის მაგალითი მოიყვანა, რომლებიც მამარდაშვილის თქმით, ავთენტურად ეძებენ ფენომენების მიღმა და ამასი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: „მათ ფილოსოფიური მუხტი საერთო აქვთ. ისინი მამარდაშვილმა ახალი კუთხით დაგვანახა და ხედები, რომ ასე დაპირისპირებული სულაც არ ყოფილან. ფუნდამენტურ საკითხებში ისინი ერთმანეთს ჰგვანან და მათი ფიქრი ერთი საერთო სიდიდისა და მასშტაბისაა“.

მას წინასწარი სულგრძელი, ნდობით გაჯერებული განწყობა აქვს სხვა ფილოსოფოსის ნაზრების მიმართ. აკი, თვითონაც აღნიშნავდა: „როცა ამ საკითხს ასე ვუდგებო, ანუ წინასწარ ვაღიარებ, რომ დავინახე მნიშვნელოვანი სათქმელს ამა თუ იმ ფილოსოფოსში, მაშინ დავინახავ კიდევ მას. ნეტარ ავგუსტინეს აქვს ნათქვამი: „რწმენა არის დაიჯერო ის, რაც ჯერ არ გინახავს და ჯილდო ამისთვის არის ის, რომ კიდევ იხილო ის, რაც დაიჯერე“, — განაცხადა პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მერაბ მამარდაშვილისთვის ფილოსოფია არის ჩავარდნა ისეთ უნივერსალურ ფიქრში, როცა მთელი კაცობრიობისთვის ფიქრობ და არა პირადი „მე“-ს ვინაობა ინტერესისთვის. „ფილოსოფია არის ჭეშმარიტების ძიება, როცა საკუთარი თავისთვის კი არა — კაცობრიობისთვის ფიქრობ, რომელიც არ დაიყვანება რაღაც კონკრეტულზე, ემპირიულზე. არ შეიძლება ფილოსოფია გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ადამიანებმა უკეთესად ვიცხოვროთ — ეს არ იქნება ფილოსოფია! ფილოსოფია არის ან და ახლა ფიქრი მარადიულზე, როცა შენ კი აღარ მართავ ფიქრს, უბრალოდ, გრძნობ ასეთი ფიქრის აუცილებლობას. ეს ის წუთია, როცა ჭეშმარიტებამ შენშივე, ასე ვთქვათ, „გაიზმორა“, ანუ გარედან კი არ მოვიდა, შენში აღმოცენდა თვითონ. მიხვდი, რომ აუცილებლობა ყოფილა — ასე გეფიქრა. სწორედ ეს შინაგანი აუცილებლობა არის თავისუფლება. მამარდაშვილს ამ დროს ძალიან უყვარდა მარტინ ლუთერის მაგალითის მოყვანა: „აქ ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“, — აღნიშნა პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა, რომელმაც მსმენელებს მაგალითები მოუყვანა მამარდაშვილის და ეგზისტენციალისტების ფილოსოფიიდან, სადაც თავისუფლება და აუცილებლობა არ უპირისპირდება ერთმანეთს.

პროფესორი თავის ლექციაში ისეთ კონკრეტულ საკითხებსაც შეეხო, როგორცაა: ნიცშეს დამოკიდებულება თანამედროვე ფილოსოფიასთან: „მამარდაშვილის აზრით, ნიცშეს მიზანია „ააფეთქოს“ ჩვენი ცნობიერების ენა, სადაც ჩაბუდებულია რაღაც გახეშებული სტრუქტურები, რომლებიც ხელს გვიშლიან — ავთენტურად აღვიკავებ რეალობა. ნიცშესთან ადამიანი თვითონ უნდა იყოს ფასეულობების შემქმნელი და დამდგენი, სრულიად პასუხისმგებელი იმ სამყაროზე, რომელშიც ცოცხლობს“.

ლევან გიგინეიშვილმა, ასევე, ისაუბრა თანამედროვე იდეოლოგიაზე, თუ რით განსხვავდება იგი ნამდვილი ფილოსოფიისგან. როგორც პროფესორმა აღნიშნა, იდეოლოგია არ ემსახურება უპირობოსა და მარადიულს, ის ემსახურება რაღაც კონკრეტულს, პირობითს, ან თუნდაც სახელმწიფო ინტერესს. ფილოსოფია კი არ შეიძლება ფუნდამენტურად დაიყვანო იდეოლოგიაზე, ის ყოველთვის კონფლიქტშია ემპირიულთან. „იდეოლოგიები, რომლებიც ადვილად ხსნიან სამყაროს, აჩენენ დიდ საცთურს ადამიანებისთვის. რა არის ეს საცთური? — ადვილად ახსნილ სამყაროში ცხოვრება! რა უნდა გავაკეთო, რომ ძალიან რთულ, თანამედროვე სამყაროს ალღო ავულო და ადეკვატური ვიყო მასთან მიმართებაში? — უნდა ჩავატარო ძალიან დიდი მუშაობა. საკუთარი თავიდან უნდა ამოვიგლიჯო თავი, რომ რეალობა დავინახო, სხვანაირად ამას ვერ შევძლებ. ჩვენ ვერ დავინახავთ მოვლენის სისასესს, მის საკუთრივ „შარმს“, თუ მას თავზე საკუთარ და ამ მოვლენის შეუფერებელ კატეგორიებს მოვახვევთ. რეალობა რომ დავინახოთ, ჩვენი კატეგორიებიდან უნდა გამოვიდეთ. მთავარია, როგორ აღვიკავებთ ამ რეალობას, რას ვგრძნობთ მისი აღქმისას. სამყარო სტრუქტურების გარეშე უნდა აღვიკვაოთ. ეს არის სამყაროს არა იდეალური, არამედ ავთენტური ხედვა. ეს რეაქცია იქნება იმ ქმედებაზე, როცა მაიძულდები — იდეოლოგიურ ჭრილში შევხედო რაღაცას“, — განაცხადა ლევან გიგინეიშვილმა, რომელმაც მოგვიწოდოდა, რომ ჩვენი საკუთარი დამოკიდებულება აღმოვაჩინოთ სამყაროსთან, რასაც დიდი ფილოსოფოსიც გვასწავლიდა.

მან ასევე ისაუბრა ეგზისტენციალისტების ხედვაზეც, სადაც ადამიანი არასდროს არის მოცემულობა, ის ყოველთვის ამოცანაა. „ეგზისტენციალიზმი ადამიანი არის დროში ჩამოკიდებული ძალისხმევა, რომელიც ისწრაფვის რაღაც განსხვავებულისკენ. სიცოცხლე ცვლილებების უნარია და მიღწეულით არ დაკმაყოფილდება, კიდევ და კიდევ რაღაცის შექმნა და არსად გაჩერება... ზნეობრივი აქტის შესრულებამ კი არ უნდა გავაჩეროს, პირიქით, ახალი ზნეობრივი აქტის შესასრულებლად უნდა განგვანყოს“. მამარდაშვილის აზრით, შენ თუ ბოლომდე თავისუფლად იფიქრებ, მიხვალ იმ ყვირილამდე, რომლის შეკავებაც აღარ შეგიძლია და რომელიც უკავშირდება ჭეშმარიტების შეცნობის აუცილებლობას; ანუ, ფილოსოფია არ გულისხმობს მარტო ჭეშმარიტების განცდასა თუ დანახვას, არამედ გამოთქმას და გამოხატვასაც: ფილოსოფიის მამარდაშვილი განსაზღვრავს როგორც „გამოთქმულ ცნობიერებას“, ან ეს მისი რუსულად ნათქვამი განსაზღვრება — „сознание вслух“ — რომ უფრო ზუსტად ვთარგმნოთ, „სხვა ყურებისთვის გასაგონ ცნობიერებას გულისხმობს“. მამარდაშვილის მეთოდია — გაავთავისუფლდეთ რაღაც „დანაშაულებიდან“ კატეგორიებისგან, თუნდაც იდეოლოგიური წნეხისგან და ვიფიქროთ... ჩვენი ფიქრით მივიდეთ რეალობამდე, საკუთარი ხედვა ჩამოვიყალიბოთ. დემოკრატიის საფუძველიც



ესაა. სიყვარულიც, დემოკრატიაც და სინდისიც სისხლით იკვებება. თუ სიყვარულს სისხლს არ აძლევ და მისთვის ბოლომდე არ იხარჯები, მაშინ ის კვდება. ეს არის მამარდაშვილის ფილოსოფიის დიდი მუხტი. საკუთარ თავს არ უნდა უღალატო, არც ერთი გარე სტრუქტურა არ არის იმის ღირსი, რომ შენს თავს უღალატო. მამარდაშვილის მაგალითით, მეფე ოიდიპოსს გარეგნულად ყველაფერი კარგად აქვს, სამეფოც აქვს, ცოლ-შვილიც ჰყავს, მაგრამ თავისი თავი აქვს დაკარგული. ეს ყველაფერი უნდა დაკარგოს, რომ საკუთარი თავი დაიბრუნოს, უნდა შეძრწუნდეს და ემპირიული თვალედი დაითხაროს, რათა სინამდვილის დამნაშავე თვალედი აეხილოს. ფილოსოფია არის ნამდვილი თვალედი ახელის ტექნიკა. ჩვენ ვიბადებით ბიოლოგიურად, მაგრამ მეორედ თავისუფალ აზროვნებაში, პასუხისმგებლობით საცხე აზროვნებაში უნდა დავიბადოთ. ის ადამიანები, ვისაც საკუთარი ნება აქვს და ინერციას არ მიჰყვებიან, შეადგენენ ნამდვილ დემოკრატიას. მამარდაშვილის ამ ხედვას მარადიული მნიშვნელობა აქვს, რომელიც ყოველთვის გვაფხიზლებს“, — აღნიშნა პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა, რომელმაც ამომწურავი პასუხები გასცა სტუდენტებისა და პროფესორების დასმულ შეკითხვებს.

აქ გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები დიდხანს განაწყობს მსმენელს ფიქრისა და განსჯისათვის.



პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1995 წელს — ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების დეპარტამენტი მაგისტრის ნოდებით; შემდეგ — ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით; 2000 წელს კი — ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი შუა საუკუნეების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით. 2003 წელს მიიღო პარვარდის უნივერსიტეტის პედაგოგიკის მეცნიერებათა მაგისტრის ნოდება. 2001-2005 წლებში ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გასული წლიდან ლევან გიგინეიშვილი აკადემიურ მოღვაწეობას კვლავ თსუ-ში აგრძელებს.



სტუდენტ-მსწიპი



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

№24

რას მოუტანს სტუდენტებს ევროპის სტუდენტთა გაერთიანება (ESU) განავრცობის პროცესი?

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტთან არჩილ ჯავახიშვილთან

ნატო მობლაძე

საქართველომ ევროპის სტუდენტთა გაერთიანებაში (ESU) განვრცობის პროცესს დაიწყო. მოლაპარაკებებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ ჯავახიშვილი საქართველოს სტუდენტურ ორგანიზაციასთან ასოციაციის (სოა) სახელით აწარმოებს. სამუშაო შეხვედრა, სადაც ევროპის წამყვანი ქვეყნების სტუდენტურმა ორგანიზაციებმა საქართველოს ევროპის სტუდენტთა გაერთიანებაში განვრცობის შესახებ განხილეს და ამ პრობლემების გადასაჭრელად სარეკომენდაციო დოკუმენტი შეიმუშავეს.

ევროპის სტუდენტთა გაერთიანება 1982 წელს დაფუძნდა. იგი ამ დროისთვის 39 ქვეყნის ნაციონალურ სტუდენტურ ორგანიზაციას და 20 მილიონზე მეტ სტუდენტს აერთიანებს. აღნიშნულ შეხვედრაში საქართველოს წარმომადგენელი წელს პირველად მონაწილეობდა.

რა მნიშვნელობა აქვს და რა პერსპექტივას სთავაზობს ქართველ სტუდენტებს ESU-ში განვრცობა?
— გვესაუბრება სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ ჯავახიშვილი.

აქტიურად იყო ჩართული და ერთ-ერთი რეკომენდაცია სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის გააქტიურებას ითვალისწინებდა. როგორც ხედავთ, უკვე დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა და ყველანაირად ვცდებით, რომ საქართველო ევროპის სტუდენტთა გაერთიანების წევრი გახდება.

— **კონკრეტულად რას საქმიანობს ევროპის სტუდენტთა გაერთიანება?**
— ევროპის სტუდენტთა გაერთიანებაში 39 სახელმწიფოს ნაციონალური სტუდენტური ორგანიზაციაა განვრცობილი. თითოეულ მათგანს ამ ორგანიზაციაში თავისი წარმომადგენელი აქვს. იმართება სამუშაო შეხვედრები; განიხილება სტუდენტების, ზოგადად, ახალგაზრდების საკითხები; მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც, შემდეგ, როგორც ბოლონის პროცესის მონაწილე სახელმწიფოებს, ასევე ევროკავშირსა და ევროსაბჭოს ვეზავდება. ევროპის სტუდენტთა გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი მიზანია სტუდენტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მათი საქმიანობის წახალისება. იმ სახელმწიფოებს, რომელთაც არ ჰქონდათ მსგავსი ორგანიზაციები ჩამოყალიბებული, ახალგაზრდული ცხოვრების გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციებს არ აძლევდნენ.

— **განვრცობისთვის ოფიციალური თანხმობა უკვე მიღებულია. რა ეტაპებია გასავლელი ევროპის სტუდენტთა ასოციაციის წევრობის სტატუსის მისაღებად?**
— მათ საქართველოს სტუდენტურ ორგანიზაციასთან ასოციაციის (სოა) სახელით ვეკონტაქტებთ. პირველ ეტაპზე საბუთებს გადავუზღავნით. ევროპის სტუდენტთა ასოციაციის მომდევნო შეხვედრაზე 3/4 ხმების ოდენობა გვჭირდება, რომ მეზობელი ქვეყნის სტატუსი მოგვანიჭონ. მეორე ეტაპზე საქართველოში ESU-ს რამდენიმე შეხვედრა უნდა გაიმართოს. მათი წარმომადგენლები ჩამოვლენ ექსპერტების სტატუსით და შეაფასებენ, რამდენად შეესაბამება მათ სტანდარტებს საქართველოს სტუდენტურ ორგანიზაციასთან ასოციაციის მუშაობა. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, განვრცობის პროცესს დაიწყებენ. ევროპის სტუდენტთა ასოციაციის წევრობა გარკვეულ უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს გულისხმობს. აუცილებელია სანევროს გადახდაც.

— **კონკრეტულად რა უფლებამოსილება იგულისხმება?**

— განვრცობის შემთხვევაში, ჩვენ გვექნება ESU-ს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის და, ასევე, ბორდის წევრის არჩევის უფლება. მათ შორის ერთ-ერთი კავკასიის რეგიონის კოორდინატორია. წელს არჩევნებს მაისში გამართავენ და, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური წევრები არ ვართ, გამოცდილების მიღების მიზნით, არჩევნებზე დასწრების უფლება მოგვცეს. განვრცობის შემდეგ, ასევე, უფლება გვექნება ფინანსების განაწილების პროცესსა და სხვადასხვა სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მივიღოთ.

— **თქვენ ასხვებით, რომ ევროპის სტუდენტთა ასოციაცია სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებს ადგენს. რას შეეხება ეს რეკომენდაციები?**
— მათი რეკომენდაციები ეხება უმაღლეს განათლებას, ასევე ახალგაზრდების სპორტულ და კულტურულ ცხოვრებას. ანალიზებზე - რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის განათლება, სპორტი, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და ა.შ.; ამა თუ იმ ქვეყანაში რამდენად მონესრიგებულია ინფრასტრუქტურა; რამდენად აქცევს სახელმწიფო ახალგაზრდების ჯანმრთელობას ყურადღებას და რა შედეგებით სარგებლობენ ისინი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სტუდენტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სუიციდი ყველაზე ხშირად 16-დან 22 წლამდე ადამიანებში ხდება, ამიტომ რეკომენდაციებს აღნიშნული პრობლემის პრევენციის კუთხითაც გაცემენ. ამ თემაზე ჩვენც დაგვისვს კითხვები აინტერესებდათ, რამდენად ზრუნავს სახელმწიფო ახალგაზრდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

— **რეკომენდაციების ადრესატები არიან შესაბამის საკითხზე პასუხისმგებელი უწყებები — განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უნივერსიტეტი?**
— დიახ! ზოგადად, დოკუმენტები, რომლის გადაგზავნასაც გვთხოვენ, შეეხება ისეთ საკითხებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც უშუალოდ სამინისტროსგან უნდა გამოვითხოვოთ. ამითაც ხაზს უსვამენ, რომ სტუდენტური ორგანიზაციების თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან მნიშვნელოვანია. დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ საკუთარ რეკომენდაციებს წარმოგვიდგენენ.

— **გარდა რეკომენდაციებისა, თვითონ თუ ახორციელებენ საგანმანათლებლო, სპორტულ ან კულტურულ პროექტებს?**



არჩილ ჯავახიშვილი

— რა თქმა უნდა, ახორციელებენ საგანმანათლებლო ხასიათის პროექტებს. მათი ოფისი ბრიუსელშია, თუმცა პროექტები სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში კეთდება. ქვეყნების შერჩევა პროექტების შინაარსიდან გამომდინარე ხდება — რამდენად არის კონკრეტული პროექტი თემატურად ქვეყანასთან დაკავშირებული. რუმინეთის ქალაქი ტიმიშოარაც სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით შეარჩიეს. სწორედ ამ ქალაქში დაიწყო ანტისაბჭოური გამოსვლები. ევროპის სტუდენტთა ასოციაცია ორგანიზებას უწევს კონფერენციებს, მდგრადი განათლების თემაზე დებატებს და ა.შ.. მათ სურთ, რომ არანეგრი სახელმწიფოების სტუდენტებთანაც დაამყარონ კავშირები და საერთაშორისო სტუდენტური თანამშრომლობის ხელი გააფართოონ. ღონისძიებების ბოლოს სპეციალური საღამოები იმართება, სადაც სტუდენტები ერთმანეთს საკუთარი ქვეყნების კულტურას აცნობენ.

— **დასტავობთ რა დრო დასჭირდება საქართველოს ევროპის სტუდენტთა ასოციაციაში განვრცობას?**
— ვვარაუდობთ, რომ წელიწადნახევარში, თუ ყველა კრიტერიუმს დავაკმაყოფილებთ, საქართველომ წევრის სტატუსი უნდა მიიღოს.

— **რა სარგებელს მოუტანს ევროპის სტუდენტთა ასოციაციაში საქართველოს განვრცობა ქართველ სტუდენტებს?**
— ევროპის სტუდენტთა ასოციაციაში განვრცობა მოგვცემს კიდევ არაერთ გაცვლით პროგრამას. ახლანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, მსგავს პროგრამებში მონაწილეობის საფასური სტუდენტებისთვის იქნება მიზერული. თანამშრომლობას დაიწყებთ სხვადასხვა სახელმწიფოს სტუდენტურ ორგანიზაციებთან. მათთან შემოინახავთ კავშირებს და პროგრამების წამოღება ხელმისაწვდომი გახდება. სტუდენტი, რომელიც ამ ორგანიზაციაში იმუშაებს, მიიღებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, დაგეგმვისა და პროექტების განხორციელების დიდ გამოცდილებას, რასაც შემდეგ საკუთარ ქვეყანაში დანერგავს და სტუდენტური ორგანიზაციების განვითარებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, ევროპის სტუდენტთა ასოციაციის წევრები სისტემატურად ჩამოვლენ საქართველოში, შეისწავლიან არსებულ ვითარებას და რეკომენდაციებს მოგვცემენ. ეს ფაქტორიც, განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია. მიმაჩნია, ევროპის სტუდენტთა ასოციაციაში განვრცობა ნათესავს გახდის ქართველი საზოგადოებისთვის, რომ სტუდენტური ორგანიზაციების გაქმნა კი არა, დახვეწა-გაუმჯობესებაა საჭირო.



მარინა ბარბა: საქართველოში ყოფნა ძალიან ფერად და ლამაზ ოცნებას ჰგავს

ნატო ობოლაძე

პვეიცარიელი სტუდენტი მარინე ტერრეტა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე სტაჟირებას გადის. მარინა ტერრეტამ ლონდონის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულების ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა და ამჟამად ჟენევის უნივერსიტეტის გლობალური სწავლების ინსტიტუტის აღმოსავლეთის კვლევების სპეციალიზაციის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს. არის 24 წლის, თუმცა მისი გამოცდილება უკვე საკმაოდ მრავალფეროვანია — იმყოფებოდა კატმანდუსა და ნეპალში, სადაც ორ სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლიდა, საბერძნეთის ჩიოსის რეგიონში ახალგაზრდა დევნილთა განათლებისა და კონფლიქტების მოგვარების პროგრამაში მონაწილეობდა... თუ რატომ ჰგავს საქართველოში მისი ვიზიტი საინტერესო, ლამაზ და ფერად ოცნებას, ინტერვიუდან შეიტყობთ.



ვარების საკითხებში აქტიურად ვიყავი ჩართული.

— **რამ გამოიწვია თქვენი ინტერესი საქართველოს მიმართ და რატომ გადამწყვეტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტაჟირების პროგრამით სარგებლობა?**

— ყოველთვის მაინტერესებდა და მინდოდა საქართველოს მონახულება. გარდა ამისა, ამ ქვეყნის მიმართ ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ბიძაჩემის ქართულმა წარმომავლობამაც დიდი როლი ითამაშა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კი მომცა შესაძლებლობა, რომ ვყოფილიყავი არა უბრალოდ ჩამოსული ტურისტი, არამედ ადამიანი, რომელიც ყოველდღიურ საუნივერსიტეტო საქმიანობასა და ცხოვრების რიტმში აქტიურად არის ჩართული. აქამდე სამართლის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება არ მქონია. შესაბამისად, ეს ყოველივე ახალ გარემოში მოხვედრის კარგი შესაძლებლობა იყო, რამაც ამ მიმართულებით ჩემი კომპეტენციის დონე ერთმნიშვნელოვნად გაზარდა.

— **რა იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტზე. რამდენად მოგეწონათ გარემო?**

— იურიდიული ფაკულტეტის დეკანთან, ქალბატონ თამარ ზარანდიასთან ურთიერთობა ჩემთვის ნამდვილად საინტერესოა. მან დეტალურად ამიხსნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტრუქტურა, ამ საგანმანათლებლო პლატფორმის შესაძლებლობები, გამოწვევები და უპირატესობები. შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ დეტალურად ვიცნობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სამართლის სკოლას და აუცილებლად გავუწევ რეკომენდაციას მას სხვადასხვა დაინტერესებულ წრეებში. ქართული სამართალი ევროპული სამართლის რეცეფციის შედეგია და ეს ბევრ სხვადასხვა საკითხში იგრძნობა. ერთგვანი სტაჟირების ფარგლებში თსუ-ის სამართლის ჟურნალზე ვიმუშავე, ასევე გავცანი და გავცვალეთ გამოცდილება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური სერვისების განვითარების თვალსაზრისით, ვცხმარებოდი ფაკულტეტს უცხოელ პროფესორებთან დაკავშირებაში.

გარდა ამისა, დიდი პატივი გახლდათ „დავის ალტერნატიული გადამწყვეტის ეროვნულ ცენტრში“ მუშაობა. მედიაციის პროცესი და თავად დავის მედიაციის გზით მოგვარების კონცეფცია ჩემთვის ახალი მიმართულებაა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო დახმარებისა და მასხმალური ხელშეწყობისთვის ცენტრის დირექტორს, ქალბატონ ნათია ჩიტაშვილსა და, ასევე, ყველა თანამშრომელს. ამ მიმართულებით ახალი ინტერესი გამიჩნდა და მომავალში ცოდნის გაღრმავებას ვგეგმავ.

— **რამდენად მოგეწონათ ქართული კულტურა, წეს-ჩვეულებები, რა იყო თქვენთვის ყველაზე ახალი და უცხო?**

— ქართული კულტურის შესახებ გამიგია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საფუძვლიანად ვიცნობდი, ამიტომ ჩემთვის საქართველოში ვიზიტი ძალიან საინტერესო იყო. საქართველო ევროპული ქვეყანაა — ეს ჩემი პირველი შთაბეჭდილება გახლავთ. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. თუმცა, ამავე დროს იგრძნობა აღმოსავლური გავლენაც. თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქია, მისი არქიტექტურა, გარკვეულწილად, ევროპისა და აზიის ნაზავია. იგრძნობა საბჭოთა პერიოდის გავლენაც, თუმცა არის ახალი შენობა-ნაგებობებიც. ამდენად, არქიტექტურა ცოტა ეკლექტიური, მაგრამ უნიკალური და საინტერესოა. ჩემი ყურადღება მიიქცია ფართო ბულვარებმა, სიმწვანემ და ძველი თბილისის გასაოცარმა ხედებმა. საქართველოში გასაოცარი ბუნება და ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლია. თბილისი ეთნიკურად მრავალფეროვანია, ერთმანეთის გვერდით გვხვდება ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი, შესაბამისად მულტიკულტურულ შთაბეჭდილებას ტოვებს. შთაბეჭდავია ღვინის კულტურა და იმის გააზრება, რომ ქართველები ღვინოს 8000 წლის წინ ქმნიდნენ. გარდა ამისა, სტუმართმოყვარეობა, ოჯახის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, ეროვნული სამზარეულოს კერძების მრავალფეროვნება და ქართული სუფრის ტრადიცია ჩემთვის სერიოზული სიახლე და აღმოჩენა იყო. შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ყოფნა ძალიან ფერად და ლამაზ ოცნებას ჰგავს.



— **ვინ არის მარინე ტერრეტა?**

— საქართველოში ჩამოსვლამდე, ჟენევის უნივერსიტეტში ერთწლიანი სწავლების შემდეგ გაცვლითი პროგრამით თეირანში ვიმყოფებოდი. სტაჟირების პროგრამების დასრულების შემდეგ ვგეგმავ უნივერსიტეტის დამთავრებას და მაგისტრის ხარისხის მოპოვებას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ერთი თვით ვაპირებ დარჩენას. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში მომდევნო სტაჟირება რამალაში, პალესტინაში მუშავს დაგეგმილი. 3 თვის განმავლობაში ჩემი მთავარი საქმიანობა ქალებისა და ბავშვების მიმართ გამოვლენილ, ძალადობის ყველაწილ ფორმასთან ბრძოლა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა იქნება.

რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, 4 თვის მანძილზე კატმანდუში და ნეპალში ვმუშაობდი, სადაც ინგლისურ ენას ორ სკოლაში ვასწავლიდი და ცვდილობდი — მოსწავლეებს მხატვრული პროექტების შექმნაში დაგხმარებოდი. გარდა ამისა, მქონდა შესაძლებლობა შვეიცარიულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად საბერძნეთში, ჩიოსის რეგიონში მემუშავა. ამ დროის განმავლობაში ახალგაზრდა დევნილთა განათლებისა და კონფლიქტების მოგ-

თსუ-ის სტუდენტი ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის განმარტული მდივანი ირინა



თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი ნანა ბაგია ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის განმარტული მდივანი გახდა.

ნანა ერთი წლის განმავლობაში ბრიუსელში განაგრძობს ცხოვრებას, სადაც ასოციაციის მთავარი ოფისიდან კოორდინაციას გაუწევს ორგანიზაციის საქმიანობას.

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (ელსა) მსოფლიოს უდიდესი აკადემიკური, არასამთავრობო, იურისტ სტუდენტთა გაერთიანებაა, რომელიც დღეისთვის მთელს მსოფლიოს 44 ევროპულ სახელმწიფოს და ამერიკაში 50 000-ზე მეტ იურისტ სტუდენტს ევროპის მასშტაბით.

ევროპის ლიტერატურული პრიზის ფინალისტებს შორის თსუ-ის სტუდენტები არიან

2019 წლის ევროპის ლიტერატურული პრიზის სამ ფინალისტს შორის ორი თსუ-ის სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდის“ გამარჯვებულია.

ბექა ადამაშვილი და ივა ფაშაშვილი 2019 წლის ევროპის ლიტერატურული პრიზის გამოსავლენად შექმნილმა სპეციალურმა ჟიურიმ საკონკურსოდ შემოსულ 9 ავტორს შორის შეარჩია.



საქართველო

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების გეოგრაფიული ავტომატი

შარტია ბაროშვილი

ვასკარას ჩანჩქერი, ჯრუჭის მონასტერი, უზუნთის ტბა, უზუნთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რაჭის ქედი — „დევის ტბა“, მოხვის წმინდა გიორგის ეკლესია, სარეკის ღვთაების ეკლესია, ქვემოხევის მთავარანგელოზის ეკლესია, კურორტი კვერეთი, საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ჭალის ციხე, ბახოთის პანორამა, პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ არგვეთში და კიდევ სხვა მრავალი ისტორიული ძეგლისა და ღირსშესანიშნაობების ვლევისა და გეოგრაფიული შეფასების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებმა საჩხერის მუნიციპალიტეტში სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყვეს. 28 მარტს პირველი კორპუსის ფოიეში ფოტოსურათების გამოფენა და „საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების გეოგრაფიული კვლევის“ ფარგლებში მომზადებული კრებულის პრეზენტაცია გაიმართა.



ალსანიშნავია, რომ 2017 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტური პროექტის — „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ძეგლების გეოგრაფიული კვლევის“ წარმატებით განხორციელების შემდეგ აქტუალური გახდა ჭიათურის მეზობელი მუნიციპალიტეტების კვლევა. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, საჩხერის მუნიციპალიტეტს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, რომელიც სრულად ჯერ არ არის შესწავლილი. სტუდენტების მიერ წარდგენილი პროექტი თსუ-ის მიერ დაფინანსდა, რის შედეგადაც სტუდენტებს საშუალება მიეცათ — საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე ეწარმოებინათ საველე კვლევითი სამუშაოები.

პროექტის კოორდინატორის, გეოგრაფიის დოქტორის, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორის გიორგი დვალაშვილის ინფორმაციით, უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტის კვლევის მთავარი მიზანი იყო საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი ძეგლების აღრიცხვა და შეფასება — მათი

პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლა და პოტენციალის გამორკვევა: ტური-სტულ-რეკრეაციული, აგარაული, სამკურნალო, სპორტული, კულტურული, ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა. სტუდენტური სამეცნიერო პროექტის ავტორები არიან თსუ-ის გეოგრაფიის და ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტები: მარიამ ჯაფოშვილი (ხელმძღვანელი), სალომე თაბაგარი, მერი ჩიტინიძე, დავით დალაქიშვილი, თათია ჩიქოვანი.

პროექტის — „საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების გეოგრაფიული კვლევა“ — ფარგლებში გამოიცა წიგნი: „საჩხერის მუნიციპალიტეტი“, სადაც განხილულია როგორც ამ რეგიონის სოფლების, აგრეთვე რუსეთის მიერ ოკუპირებული სოფლების, XX საუკუნის 50-იან წლებში წარმოქმნილი ნასოფლარების (მოსახლეობა გადაასახლეს: აფხაზეთში, კახეთში, მესხეთში) და ცალკეული ხეობების მიხედვით არსებული საინტერესო ტურისტული ობიექტები.

პროექტის ხელმძღვანელის გიორგი დვალაშვილის თქმით, საკმაოდ



გიორგი დვალაშვილი

პოპულარულია ტურისტებისთვის საექსკურსიო მარშრუტები სხვადასხვა სახლ-მუზეუმის ჩათვლით. „ყველაზე პერსპექტიული არის აქ ტურიზმის განვითარება, როგორც ვიზიტორთა ფართო სპექტრისთვის, ასევე ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვისაც. აქტუალურია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვისა და პასპორტიზაციის საკითხიც, შემდეგ კი მათი დაცვის თემაც“, — აღნიშნა გიორგი დვალაშვილმა.

სტუდენტების მიერ წარდგენილი პროექტი თსუ-ის სტუდენტური პროექტების ფარგლებში დაფინანსდა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების საველე კვლევა და მიღებული მასალების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი პროექტების განხორციელება, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონების უკეთეს გაცნობას და ამ რეგიონებში არსებული ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციას.




საქართველოს მიერ დაფინანსებულ ჟურნალში ხარი ყვალასთვის ღიაა

შარტია ბაროშვილი



ქეზენ ყველგან... აკრავენ განცხადებებს თსუ-ის საინფორმაციო კედლებზე, ავრცელებენ სარეკლამო რგოლებს სოციალური ქსელების საშუალებებით... შემდეგ კი, ვინც გამოეხმაურება, მათ შორის საუკეთესოებს არჩევენ, საქმეში აბამენ და თავიანთი მოძიებული ფინანსებით ახერხებენ ჟურნალის გამოცემას... ჟურნალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შემოქმედება იბეჭდება. ამ ეტაპზე, რაც შეძლეს, ის არის, რომ ორი ნომერი გამოუშვეს. თემატიკა მრავალფეროვანია: პოეზია, პროზა, თარგმანი, ესე, სამეცნიერო სტატიები და პუბლიცისტიკა... ჟურნალი „ანდამატი“ იზიდავს ყველას, ვინც არა მარტო წერს, არამედ ხატავს, გატაცებულია ფოტოგრაფიით... მოკლედ, კარი ყველასთვის ღიაა...



მას. ჟურნალის მიზანია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების აღმოჩენა, მათი შემოქმედების პოპულარიზაცია და ცოცხალი ლიტერატურული გარემოს შექმნა.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაშიც მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები (ილია ცეცხლაძე, გიორგი კახიშვილი და კონსტანტინე წონორია) არიან.

„ჟურნალის დაარსების იდეას წინა წლის მარტში ჩაუყარა საფუძველი. უნივერსიტეტში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლობს და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით, არ არსებობს

ჟურნალი ან რაიმე სპეციალური გამოცემა, სადაც ამ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ — თავიანთი შემოქმედება გააცნონ საზოგადოებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეს ჟურნალი, რომელიც უკვე მეორედ გამოიცა“, — ამბობს თორნიკე კანდელაკი.

„ვცდილობთ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ სტუდენტების აზრი და გავიზიაროთ მათ მიერ შემოთავაზებული იდეები. „კომპეტენტური“ ჟიურიც არ გვყავს. რედაქციის წარმომადგენლებიც პროფესიით ფილოლოგი სტუდენტები არიან. მათ კარგად ესმით მხატვრული შემოქმედების ფასი“, — ამბობს თორნიკე.

ჟურნალის რედაქტორი თავადაც წერს ლექსებს. მნიშვნელოვანია, რომ პირველად მისი შემოქმედება მან თავისივე ინიციატივით შექმნილი ჟურნალის საშუალებით გააცნო მკითხველს.

ჟურნალის ერთ-ერთი დამფუძნებელი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ილია ცეცხლაძე ამბობს, რომ ჟურნალის შექმნის მთავარი მოტივაცია ისიც იყო, რომ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს მეტი ასპარეზი ჰქონოდათ და გარკვეული გამოცდილება შეეძინათ. „ჟურნალი თემატურად მრავალფეროვანია. მომავალში, შესაძლოა, სხვა რუბრიკებიც დაემატოს და საზოგადოებისთვის უფრო აქტუალურ პრობლემებსაც შეეხოს“, — ამბობს ილია ცეცხლაძე.

ჟურნალის რედაქტორის, თორნიკე კანდელაკის ინფორმაციით, ჟურნალი უკვე პოპულარულია სტუდენტებში და კარგადაც იყიდება. შემოსული თანხით კვლავ მომდევნო ნომერი დაიბეჭდება. „ჩვენ მთლიანად სტუდენტობაზე ვართ ორიენტირებული — რჩევებსაც მათგან ვიღებთ და ვცდილობთ, მათი ინტერესები გავითვალისწინოთ. მომდევნო ნომრის გამოცემა მასალების რაოდენობაზე და ფინანსებზე დამოკიდებულია. ალსანიშნავია, რომ ზოგიერთ სტუდენტს ფსევდონიმით სურს მისი შემოქმედება დაიბეჭდოს, რასაც სარედაქციო საბჭო ითვალისწინებს. გვიხარია, რომ ჟურნალის მიმართ ინტერესი სტუდენტების მხრიდან დღით დღე იზრდება“, — ამბობს თორნიკე კანდელაკი.



დათო ევგენიძის ექსპერიმენტი თსუ-ში

ნაბო მობოლაძე

დათო ევგენიძის ხელოვნების სალამო გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — მუსიკოსის ჩანახატების, ლექსების კრებულის პრეზენტაცია და მუსიკალური პერფორმანსი საფრანგეთში მოღვაწე მულტი ინსტრუმენტალისტ კამილ ჩალაევთან ერთად მოეწყო. უნივერსიტეტის სტუდენტებმა დათო ევგენიძის შემოქმედების უცნობი მხარე გაიცნეს. მუსიკოსი მასურების წინაშე განსხვავებულ ამპლუაში წარსდგა. მუსიკალური იმპროვიზაცია ფორტეპიანოსა და კამილ ჩალაევის მიერ შექმნილი ინსტრუმენტებით შესრულდა. მსმენელმა სრულიად ახალი ექსპერიმენტული მუსიკა მოისმინა.

„ქართული ენა არის მუსიკა. ქართულ სიტყვებში ბევრი საიდუმლოება დევს. მე ამ სიტყვების არქეოლოგი

ვარ. მინდა, რასაც ვხედავ, სხვებსაც დავანახო. ჩემი მუშა მანც სიყვარულია. რაც შეეხება მუსიკალურ ექსპერიმენტს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა, იმ აუდიტორიისთვის რომ გამეკეთებინა, რომელიც დათო ევგენიძის არქეტიპს არის მიჩვეული, დარწმუნებული ვარ, ასეთი გახსნილი ვერ იქნებოდა, როგორც ეს უნივერსიტეტელმა მსმენელებმა აჩვენეს. დღევანდელ სალამოს შესრულებული მუსიკა არ იყო მარტივად აღსაქმელი. დარბაზიდან ჯერ იყო ამ ექსპერიმენტის გაგების მცდელობა, შემდეგ კი ერთად ყოფნა, რაც ჩემი მთავარი მიზანიც იყო. ეს უნივერსიტეტი... ვფიქრობ, სწორედ ეს არის ის ადგილი, სადაც უნდა შედგეს ექსპერიმენტული მუსიკა“, — განაცხადა დათო ევგენიძემ.

დათო ევგენიძემ და კამილ ჩალაევმა ერთობლივი მუსიკალური სალამო 30 წლის შემდეგ პირველად გამართეს. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსები

ამ დროისთვის განსხვავებულ ჟანრში მოღვაწეობენ, როგორც დათო ევგენიძემ აღნიშნა, მათ მანც ერთი საერთო მიზანი — ექსპერიმენტი აერთიანებთ.

„დათოს მუსიკა უფრო სტაბილურია. მე სხვა ჟანრში ვმოღვაწეობ. თუმცა ძალიან მინდოდა, რომ ერთად დაგვეკრა და მიხარია, რომ რაღაც საინტერესო გამოგვივიდა. ჩემი მუსიკის მიზანი უნივერსალურობაა. მუსიკა — ეს ენაა, მუსიკა ჩემთვის ყველაფრის პირველსაწყისია. თანამედროვე მუსიკა უფრო მარკეტინგზე და პოპულარიზაციაზეა გათვლილი. მე უფრო არქაიზში ვცხოვრობ. ნათქვამია — დასაწყისში იყო სიტყვა... მე ვეძებ, თუ როგორ უნდა ეს სიტყვა. ეს ჩემთვის არის პირველსაწყისის ხმა“, — გვითხრა საფრანგეთში მოღვაწე მულტი ინსტრუმენტალისტმა კამილ ჩალაევმა.

დათო ევგენიძის შემოქმედებითი სალამო თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის სტუდენტების თხოვნით დაიგეგმა. ღონისძიება სტუდენტური თვითმმართველობისა და ქართული ღვინის ფონდის თანაორგანიზებით გაიმართა.

„უნივერსიტეტელ სტუდენტებს დათო ევგენიძის შემოქმედება უყვართ. ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი მოწვევა. მუსიკოსი, ამჯერად, მსმენელის წინაშე პარიზელ შემსრულებელთან ერთად წარსდგა. როგორც სტუდენტებმა გვითხრეს, სალამომ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა თეკლა გილაურმა.

სალამო პატრიოტულ ნოტაზე დასრულდა. ბოლოს მუსიკალურ ექსპერიმენტში დარბაზიც ჩაერთო.

„იმოქმედა ჩემმა სიყვარულმა და დარბაზის მხრიდანაც, რაც ვიგრძენი, იყო სიყვარული და დიდი პატივისცემა“, — აღნიშნა დათო ევგენიძემ.



რითი ერთობიან უნივერსიტეტის სტუდენტები და რა სურთ მათ?

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის“, — ჯერ კიდევ როდის ამბობდა ამ სიტყვებს ილია. ამ რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტთან რომ ჩაგველოთ, მის ეზოში შეკრებილი სტუდენტებისგან სულ სხვა პასუხებს მოისმენდით — სალამოს კინო, თეატრი და ბილიარდი სტუდენტების თავშესაქცევ უცვლელ საშუალებას წარმოადგენდა.

ალბათ, მაშინ კომპიუტერი, ტელევიზორი და ტელეფონი რომ გეხსენებინათ, მათ გაკვირვებულ მზერას ვერ აცდებოდით. თუმცა, ცხოვრება მიდის, „იცვლება და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“.

ალექსანდრე გაბაშვილი თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია. მის ერთ-ერთ გასართობს ფეხბურთის მინი ტურნირი „ლიგა თსუ“ წარმოადგენს. ტურნირის გამარჯვებული თავადაც არაერთხელ ყოფილა: „როცა დრო მაქვს, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებასაც ვესწრები, იქნება ეს კონცერტები, საჯარო ლექციები თუ სპორტული შეჯიბრებები“.

სხვადასხვა ინტელექტუალური თუ შემეცნებითი აქტივობის მონაწილე გიორგი ბერიძეც ხშირად ყოფილა, თუმცა ფიქრობს, რომ დღესდღეობით მსგავსი სახის ღონისძიებები იშვიათად ტარდება. მისი თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამ მიმართულებით ნაკლებად მუშაობს: „უცვლელ კონკურსი კარგია, მაგრამ მას ვერ დავარქმევთ შემეცნებით-გასართობ აქტივობას“. მისი სურვილია, უქმე დღეებში, როდესაც უნივერსიტეტის სივრცე, ასე თუ ისე, ცარიელია, უფრო მეტი გასართობი ღონისძიება ტარდებოდეს.

„მეორე კურსზე სხვადასხვა გასართობ ღონისძიებას უფრო აქტიურად ვესწრებოდი. ვფიქრობ, რომ, გართობის მხრივ, თსუ ადრე უფრო დატვირთული იყო. ბოლო პერიოდია მათ შესახებ არაფერი მსმენია“, — აღნიშნავს

ჩვენთან საუბრისას მარიამ რეხვიამვილი.

უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ კი სტუდენტების მთავარ გასართობს მეგობრებთან ერთად დროის გატარება, კომპიუტერული თამაშები, ე.წ. "TV-SHOW"-ები და მუსიკალური ფესტივალები წარმოადგენს. თუმცა, გამოძინების მიზანსაც ვერ უნებდება, რომ სტუდენტები თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს სასწავლო დაწესებულებაში ატარებენ, გართობის მხრივ, მეტი მოთხოვნა მანც უნივერსიტეტის მიმართ აქვთ.

სურვილები ბევრია. ზოგი მათგანი ერთმანეთს წააგავს, ზოგი კი განსხვავებულია:

მერაბ პაბაშვილი, თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების III კურსის სტუდენტი: „სულ მინდოდა უნივერსიტეტში ისეთი აქტივობები ყოფილიყო, ძველ ფილმებში რომ მინახავს. მაგალითად, გრანდიოზული ღონისძიებები ან ფესტივალები, რომლებშიც ყველა ერთად არის ჩართული“.

ნანა სააკაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „კარგი იქნებოდა, რომ არსებობდეს ლიტერატურული კლუბი, სადაც კვირასი ერთხელ მანც ჩატარდებოდა

შეჯიბრებები, შემოქმედებითი სალამოები და მსგავსი სახის ღონისძიებები. ეს სტუდენტებს უფრო მეტ მოტივაციას მისცემდა“.

ნატა ჯაჭავაძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „ძალიან მინდა არსებობდეს კინომოყვარულთა კლუბი, სადაც ყოველ სალამოს სტუდენტების მიერ შერჩეული ფილმების ჩვენება და მათი განხილვა გაიმართებოდა“.

თუმცა, სტუდენტების ერთობლივ სურვილად უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური სივრცის გამოყოფა რჩება, სადაც ისინი ლექციებს შორის შუალედებში დასვენებას, ერთმანეთთან ინტერაქციასა და გართობას შეძლებენ. თვითმმართველობის პრეზიდენტი შოთა კეჟერაშვილი უახლოეს მომავალში სტუდენტებს ბევრ გასართობ ღონისძიებას უპირდება: „მალე დაიწყება „სტუდენტური დღეები“ და თსუ-ის სტუდენტებს ბევრ კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობაში ჩართვის საშუალება მიეცემა“, — ამბობს იგი.

ნიინი ტაველიძე, თაონა ყაჭიური
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები



მერაბ კოკოჩაშვილის იუბილე თსუ-ში და ფილმები დასაუბლი სწორი აქცენტები

ნაბო მობლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცნობილი ქართველი რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის 84 წლის იუბილე აღნიშნა. ქართულ ფილმოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის და ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მერაბ კოკოჩაშვილი უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. „მერაბ კოკოჩაშვილი წლების განმავლობაში საკუთარ ცოდნას, საკუთარ გამოცდილებას და ფანტასტიკურ ხედვას ახმარს ჩვენი მომავალი თაობის აღზრდას“, — განაცხადა რექტორმა.

„დიდი ბედნიერებაა, იყო მერაბ კოკოჩაშვილის სტუდენტი და გაიზარდო იმ ესთეტიკურ ფასეულობებზე, რომელსაც ის ასწავლის როგორც პროფესორი და როგორც რეჟისორი. იგი ჩვენი უნივერსიტეტის გამორჩეული სახეა, რომელმაც რეჟისორთა მრავალი თაობა აღზარდა“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა, რომელიც საიუბილეო საღამოს უძღვევოდა.


ლონისძიებზე თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას ფილმის — „ვინც თავისი თავი შექმნა, self made“ — ჩვენება გაიმართა.

დოკუმენტური ფილმი („ვინც თავისი თავი შექმნა, self made“) მერაბ კოკოჩაშვილს მაყურებელს როგორც პიროვნებას, რეჟისორს, პედაგოგსა და ხელმძღვანელს აცნობს. მისი მოქალაქეობრივი პოზიციების თუ პროფესიული შეფასებების ჩვენებით ფილმი ქმნის იმ რეჟისორის „პროფილს“, რომელმაც ქართულ კინოში, საბჭოთა ცენზურის პირობებში, თავისუფლების იდეა განავითარა და რომელიც დღემდე ამავე იდეოლოგიით ცდილობს ეროვნული კინოს შექმნა-შენარჩუნებას.

„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, ინიციატორებს, ფილმის ავტორს, ქალბატონ ნინო კაკულიას, რომელმაც არაჩვეულებრივი და საინტერესო ფილმი გადაიღო ბატონ მერაბ კოკოჩაშვილზე. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ ბატონ მერაბს დაბადების დღეს და მინდა, მას ვუსურვო ის სიმხნევე და ენთუზიაზმი, რომლითაც ასე გამოირჩევა. ბატონი მერაბი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც თავის დროზე საბჭოთა ცენზურას დაუპირისპირდა და რომელმაც იდეოლოგიურ წნეხს გაუძლო. ხელოვნება თავისუფალი აზროვნების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ დიდი მადლობა ბატონ მერაბს მისი შემოქმედებისთვის. მან ქართულ ეროვნულ კინოხელოვნებაში, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, გარდატეხა შეიტანა“, — განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ მიხეილ გიორგაძემ.

აკადემიური წრის წარმომადგენლები და რეჟისორები აღნიშნავენ, რომ მერაბ კოკოჩაშვილის ისტორია, ბოლო ასწლეულის მანძილზე, ქართული კულტურის ჩამოყალიბების ისტორიის ნაწილია და მასზე ფილმის გადაღება ავტორისთვის დიდი გამოწვევა იყო, რასაც შემოქმედებითა ჯგუფმა თავი წარმატებით გაართვა.

„ფილმში კარგად ჩანს მერაბ კოკოჩაშვილი როგორც პიროვნება, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. ასევე საკმაოდ კარგად არის ნაჩვენები მისი შემოქმედებითი გზა — წარსულთან კავშირი, მისი წინაპრები და მათი ისტორია, რომელიც დღესაც ცოცხლობს ჩვენში და რომელიც იმის საწინდარია, რომ მომავალი შეიქმნება... მე, როგორც მაყურებელი, ფილმმა კითხვები არ დამიტოვა და ამომწურავი ინფორმაცია მივიღე... რაც მთავარია, ეს არის სათანადო დაფასება ადამიანის — თურა გაუკეთებია მას ქართული კულტურისთვის... საქართველოს ისტორია ხომ ჩვენი კულტურის ისტორიაა, მერაბ კოკოჩაშვილი ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ამ კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა და სწორედ ეს არის ამ ფილმის მიზანი, რომელმაც ეს მისია შეასრულა“, — ასე შეაფასა ფილმი „self made“ კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ.



რისთვის... საქართველოს ისტორია ხომ ჩვენი კულტურის ისტორიაა, მერაბ კოკოჩაშვილი ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ამ კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა და სწორედ ეს არის ამ ფილმის მიზანი, რომელმაც ეს მისია შეასრულა“, — ასე შეაფასა ფილმი „self made“ კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ.

„პირველ რიგში, მინდა, მადლობა გამოვხატო ყველას მიმართ, ვინც იზარუნა, რომ, დღეს, ბატონ მერაბს შევხვდროდით, რათა უნივერსიტეტს გამოეხატა თავისი დამოკიდებულება და დიდი სიყვარული ასეთი შესანიშნავი პიროვნებისა და შემოქმედის მიმართ. აქ წარმოდგენილი იყო გამორჩეული კარგად გაკეთებული დოკუმენტური ფილმი. ჩვენ განებივრებულნი ვართ საუნივერსიტეტო დოკუმენტური ფილმებით, მაგრამ დღევანდელი ფილმი იყო ფრიად განსხვავებული. ამას ხელი შეუწყო ბატონი მერაბის გამორჩეულმა ადამიანურმა თვისებებმა, მისმა არაჩვეულებრივმა შემოქმედებამ. ფილმი დატვირთული იყო ძალიან საინტერესო ინფორმაციით და კარგად იყო გამოხატული ის დიდი პატივისცემა და განსაკუთრებული სიყვარული, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი ვატარებთ. გულწრფელად ვულოცავ ყველას, ვინც ფილმის შექმნაში მონაწილეობა მიიღო. ეს არის გარანტია იმისა, რომ უნივერსიტეტს კიდევ არა ერთი დოკუმენტური ფილმი ექნება. ეს ყველაფერი კი ჩვენი დიდი ისტორიაა“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

„გარდა იმისა, რომ ფილმი მაღალპროფესიონალურ დონეზეა გაკეთებული, მას სხვა ღირსება და დატვირთვა აქვს. ასეთი ადამიანების მეშვეობით შევინარჩუნეთ ბევრი ფასეულობა და

ღირებულება, ამიტომ ამის დავინყება შეუძლებელია. ახალგაზრდობას უნდა ახსოვდეს თავისი ერის ისტორია, სხვაგვარად შეუძლებელია — გაგრძელდეს ბრძოლა თავისუფლებისათვის და იმ ღირებულებებისათვის, რაზეც ამ ფილმშია საუბარი. ამ ფილმმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ საქართველოში ეს კავშირი სულ იყო... მოკლედ კი იმის თქმა შემიძლია, რომ ეს არის ფილმი გმირობაზე, თავდადებაზე და ეს უნდა იცოდეს ახალგაზრდობამ“, — განაცხადა მუჟუფ დანიელმა.

ახალი თაობისთვის ღვაწლმოსილი რეჟისორის შემოქმედების გაცნობის მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე გაბაშვილმა: „ქართული კინოს ისტორია ათწლეულებს ითვლის. გვყავს უამრავი გამოჩენილი რეჟისორი, ერთ-ერთი მათგანია ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი. ჩვენთვის, ახალგაზრდა თაობისთვის, მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით ღირებულია მისი გამოცდილების, წარმატების ნახვა და გაზიარება“.

ფილმში აღწერილ მერაბ კოკოჩაშვილის პორტრეტს პატარა-პატარა შტრიხები მოწვეულმა სტუმრებმაც შემატეს. რეჟისორის კოლეგებმა ეროვნული კინოცენტრიდან და კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“, საიუბილეო ღონისძიებებზე შეკრებილ საზოგადოებას, მათი თვალთ დახმარებით მერაბ კოკოჩაშვილი გააცნეს.

„ბატონ მერაბს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმ თაობის სახელით, რომელსაც მისი ფილმი საბჭოთა ჩაკეტილობასა და სტაგნაციას უმსუბუქებდა. მათთვის ასეთი შედეგების ნახვა ნამდვილად დიდი შვება იყო. ვფი-

ქრობ, ბატონ მერაბს მხოლოდ „დიდი მწვანე ველი“ რომ გადაეღო, საქართველო მანაც ჩაითვლებოდა ერთ-ერთი საინტერესო კინოსტორიის მქონე ქვეყნად“, — განაცხადა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა მარია ჭილაშვილმა.

„ბატონი მერაბი ერთადერთი ადამიანია კინოსტუდიაში, რომელსაც ხელფასი არ აქვს. ამბობს, რომ ეს თანხა უნდა გადადოს სტუდიის გაციფრვის დეპარტამენტისა და გაციფრვის აპარატურის შესაძენად. ამისათვის დიდი მადლობა მას“, — აღნიშნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელმა.

თავად რეჟისორმა კი ქართული კინოს განვითარების პროცესში უნივერსიტეტულ მეცნიერებთან ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობაზე, შედეგებზე და უნივერსიტეტის ტელე-კინო ხელოვნების მიმართულებაზე აღზრდილი ახალი თაობის რეჟისორების მიღწევებზე ისაუბრა.

„განსაკუთრებული მადლობა ფილმისთვის ქალბატონ ნინო კაკულიას. მე მესმის — რა შრომაა დახარჯული, უზარმაზარი მასალა შეგროვებული... და დიდი მადლობა უნივერსიტეტს... როგორც ფილმში იყო აღნიშნული, მართლაც დღე არ გაივლის, რომ არ შემოვირბინო, სულერთია — მაქვს ლექცია, თუ — არა. მადლობა მათ, ვინც დააარსა ეს ყველაფერი — ბეგო ბეჟუაშვილი, რომელმაც სისხლი ჩააქცია და მეორადი ფაკულტეტი შექმნა. არ შეიძლება ამას არ იყო, როდესაც იცი, რომ შენთან ერთად იქ შესანიშნავი ადამიანები მუშაობდნენ როგორც კინემატოგრაფიდან, ასევე მეცნიერებიდან. აკაკი ბაქრაძემ უკანასკნელი წელიწადნახევარი ჩვენთან გაატარა და დანერგა პატარა ნიგნი, სადაც ქართულ კინოზე სრულიად ახალი ხედვა წარმოდგენილი. ასევე, არ შეიძლება მადლობელი არ ვიყო ტატა თვალჭრელიძის, რომელმაც შექმნა შესანიშნავი ჯგუფი — „კინოს, ენისა და სტრუქტურის ლაბორატორია“. ამ ლაბორატორიაში შეიქმნა საზოგადოებისთვის ძალიან საჭირო და აუცილებელი ნიგნი — „ქართული კინოს ენციკლოპედიური ლექსიკონი“. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ყოველ დღე ვხედავ ამა თუ იმ ტელევიზიის გადაცემებს, სადა ჩვენი კურსდამთავრებულების სახელი და გვარები ჩანს. ჩვენი ერთ-ერთი სტუდენტი იზი თითბერიძე კი ამერიკის უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრანტი გახდა და მისი ფილმი სტუდენტური ოსკარის ფინალში მოხვდა. მადლობა მინდა გადავუხადო მათ, ვინც იდეა მოგვანოდა, რომ უნივერსიტეტის დამფუძნებლებზე ფილმები შეგვექმნა. ეს ფილმები საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით კეთდება.“

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს რექტორს, რომელიც ყოველთვის გვერდით გვიდგას და ბატონ მიხეილ გიორგაძეს, რომელიც ენო ჩვენს სტუდიას „ქართულ ფილმს“ და მოგვცა საშუალება, რომ არა ერთი ფილმის ფირი გაგვეცოცხლებინა. კარგია, რომ დაინყო ფიქრი განათლების სისტემის მხარდასაჭერად. ზუსტად ასეთი ნაბიჯია გადასადგმელი კულტურის მიმართ. კულტურა უნდა გახდეს პრიორიტეტი ეს ჩემი ღრმა რწმენაა“, — განაცხადა რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა.

საიუბილეო საღამოზე საკმაოდ ბევრჯერ გაიჟღერა სიტყვა „მადლობა“. საქმეს, რის გამოც მერაბ კოკოჩაშვილმა საზოგადოების ასეთი მადლიერება დაიმსახურა, რეჟისორი ახლაც აგრძელებს თუნდაც იმ პოზიციის გამოხატვით, რომ, მისი თქმით — „კულტურა უნდა გახდეს პრიორიტეტი“.

მერაბ კოკოჩაშვილის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის — „ვინც თავისი თავი შექმნა, self made“ — ნახვა ფართო საზოგადოებას რეგიონული ტელეარხებისა და ვებ-გვერდის — youtube-ს და თსუ-ის ფეისბუქ-გვერდის საშუალებით შეუძლია.



თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ღვაწლით, ჯაოლო დელ ბიანოს უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გაღება

1-4 მარტს ფლორენციაში რომულდო დელ ბიანოს ფონდის საერთაშორისო ექსპერტთა გენერალური ასამბლეა და საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, რომელსაც 47 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. ღონისძიების ფარგლებში ქართული დელეგაციის ინიციატივითა და რომულდო დელ ბიანოს ფონდის ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, სადაც თსუ-ის პროფესორებმა: ია ხუბაშვილმა და გიული ალასანიამ უნივერსიტეტის ისტორია გააცნეს დამსწრე საზოგადოებას. თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის დაჯავლებით, ჯაოლო დელ ბიანოს უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადაეცა, რომელიც მან დიდი პატივით მიიღო.



ია ხუბაშვილის ინიციატივით, რომულდო დელ ბიანოს ფონდი 1998 წელს შეიქმნა და, როგორც ფონდის პრეზიდენტი — ჯაოლო დელ ბიანოს პრეზიდენტს, მას ფონდის დაარსების იდეა საქართველოში გაუზიარა, რომელიც განსაკუთრებულად უყვარს. „ჯერ კიდევ პირველი ვიზიტის დროს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია III-მ მას წმინდა ნინოს ჯვარი აჩუქა, რომელსაც იგი ნათლობის ჯვართან ერთად ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯაოლო დელ ბიანოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, 2008 წლის ოქტომბერში, ომგადახდილი საქართველოს კულტურის დღეები ფლორენციაში გაიმართა. ბატონი ჯაოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის საპატიო დოქტორი და თბილისის საპატიო მოქალაქეა. მადლიერების ნიშნად, მან უნივერსიტეტს საჩუქრად გამოუგზავნა კარერას თეთრი მარმარილოსგან ამოკვეთილი ლეონარდო და ვინჩის

ბიუსტი, რომლის ავტორი ცნობილი იტალიელი სკულპტორი დე რენირია. საქართველოს სამუხუუმო ქსელი კულტურის ძეგლებთან ერთად მან განათავსა პორტალზე, რომელსაც „ცხოვრება ტურიზმის მიღმა“ ჰქვია. პორტალი არგენტინიდან იწყება და 80-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს, რომლებთანაც ფონდს საქმიანი ურთიერთობა აქვს. აღსანიშნავია, რომ პორტალის პრეზენტაცია თბილისის მერიამში შედგა, რომელსაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება მოჰყვა.

ფონდს 2008 წლიდან მემორანდუმში აქვს გაფორმებული ასევე უნივერსიტეტთან. აღსანიშნავია ისიც, რომ რომულდო დელ ბიანოს ფონდი იუნესკოსა და იკომოსის პარტნიორი ორგანიზაციაა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ორიენტირებული. ის კულტურის ძეგლთა კონსერვაციასა და რესტავრაციაზე მუშაობს. ფონდის მიერ რესტავრირებულ ფერწერულ შედეგებს უფიცის

გალერეაში შეხვდებით“, — ამბობს ია ხუბაშვილი, რომელიც 2003 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს რომულდო დელ ბიანოს ფონდთან და ერთობლივ პროექტებს ასორციელებს.

ია ხუბაშვილმა ფონდის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადასცა, თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორმა, არქიმანდრიტმა მამა ადამ-ვახტანგ ახალაძემ კი მას საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიერ გაგზავნილი, ძვირფასი ბრილიანტებით შემკული ჯვარი უსახსოვრა.

საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდა საქველმოქმედო ასოციაცია „Gocce de Vita“-ს პრეზიდენტი, რომელმაც განაცხადა, რომ კონცერტზე შეგროვილი საქველმოქმედო თანხით უგანდაში, სოფელ კისოგაში აშენდება ღარიბებისთვის სახლი, რომელზეც მემორიალური დაფა იქნება უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესა და ვალერიან შიუკაშვილის პატივსაცემად.

ჯაოლო დელ ბიანომ ღონისძიების ფორმატში პატივი მიიღო ფონდის გარდაცვლილ ექსპერტებს და გარდაცვლილი ექსპერტების გვერდზე მემორიალური დაფები გაუხსნა პროფესორ მზია წერეთელსა და პროფესორ თამაზ ყანდარელს. ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული თამარ მეფის უნივერსიტეტის კანცლერი, საპატრიარქოს წარმომადგენელი ნატო ასათიანი. საიუბილეო საღამო 9 გრანპრის მფლობელმა, ცნობილმა პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა საფორტეპიანო კონცერტით დაასრულა.

„ჩვენთვის დიდი პატივი იყო ისიც, რომ, ღონისძიების ბოლოს, მე და გიული ალასანია იტალია-საქართველოს კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის ვერცხლის მედლებით დაგვაჯილდოვეს. მედლები გადაეცა არქიმანდრიტ ადამ-ვახტანგ ახალაძესა და ვალერიან შიუკაშვილს. დაისახა მომავალი თანამშრომლობის გეგმებიც. დელ ბიანოს თხოვნით, თსუ-მ ფონდს გაუგზავნა თავისი ლოგო, ხოლო კახი კალაძემ კი — თბილისის მერიის ლოგო...“

მნიშვნელოვანია, რომ ამიერიდან ამ ორგანიზაციის მიერ ნებისმიერ ქვეყანაში ჩატარებულ ყველა საერთაშორისო ღონისძიებაზე, სხვა ქვეყნების ლოგოებთან ერთად, ეს ლოგოებიც იქნება წარმოდგენილი. დელ ბიანოს სურვილია, ფლორენციაში ჩატარდეს ქართული კულტურის დღეები სახელწოდებით: „საქართველო ევროპას სვდება ფლორენციაში“. აღსანიშნავია, რომ თბილისის მერმა კახი კალაძემ მზადყოფნა გამოთქვა ღონისძიების ხელშესაწყობად. იმედი გვაქვს, რომ ღონისძიებაზე საქართველო ღირსეულად წარსდგება“, — აღნიშნა ია ხუბაშვილმა.

დიდი მამასხლისის „პატარა უკრაინა“

6060 ხაჯალია

ერთნაირი ფასეულობები და საერთო საფრთხეები — ეს არის ის, რაც გვაერთიანებს ორივე მართმადიდებელი ერის წარმომადგენლებს — ქართველებსა და უკრაინელებს. ორივეს მთელი ცხოვრება ბედმა გვარგუნა არასაიმედო აგრესორ რუსეთთან გამკლავებისთვის ბრძოლა, რაც კიდევ უფრო გამოკვეთავს საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობის მნიშვნელობას. ამ ურთიერთობებისთვის საფუძვლად, პირველ რიგში, კულტურის მოღვაწეები აბამენ ხოლმე და ამ ორი ქვეყნის მეგობრობის ამსახველი წარსული ისტორიაც მრავალ ფაქტსა თუ სახელს შეგვახსენებს ურთიერთკონტაქტებისთვის პირველი ნაბიჯი მაშინ გადაიდგა, როდესაც 1000 წლის წინ კიევ-პეჩორის ლავრის მოსახატავად ქართველი ხატმწერები მიიწვიეს. შემდგომში იყო უკრაინელი პედაგოგი და მეცნიერი მიკოლა გულაკი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლასა და პროპაგანდას, პოეტმა ნავროცკიმ კი შოთა რუსთაველის პოემა თარგმნა. ისტორიული მესხიერება უკრაინელებისადმი მადლიერებით უნდა აღავსებდეს წესით ყველა ქართველს — უკრაინაში შეკედლებული ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის პატრონობისთვის თუ მირგოროდში მისი საფლავის მოძიებისთვის... ლესია უკრაინკაც ასსოვთ თანამედროვეებს, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე რომ ჰქონდა მოვლილი და ერთხელაც უთქვამს — „მე რომ უკრაინელი არ ვყოფილიყავი, ალბათ ქართველი ვიქნებოდი“. ლიტერატურული ქრონიკები თავის თავში მოიცავენ აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს შესხვედრის ეპიზოდებსაც... ცნობილია ილია ჭავჭავაძის უკრაინასთან გაბმუ-



რამდენიმე შტრიხი გიორგაფილანს

ლი ურთიერთობები... ზემოთ ნახსენები და სხვა უამრავი ცნობილი უკრაინელი ლიტერატორის, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწის სახელები და გვარები გაიყვარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისა და აკადემიკოსის ოთარ ბაქანიძის მონოგრაფიაში, რომელშიც კულტურასთან კავშირში მყოფი თითქმის ყველა უკრაინელი მოღვაწის თაობაზეა საინტერესო ამბები და ინფორმაცია. მისი ეს უამრავი ნაშრომი დიდ ქართველებთან უკრაინელი მოღვაწეების ურთიერთობებსაც აღწერს. გარდა კულტურული კავშირებისა, ოთარ ბაქანიძის სახელს უკავშირდება უკრაინელ მეცნიერთან ყოვლისმომცველი კონტაქტების გაღრმავება... ის, რომ ჯერ კიდევ 1994 წელს კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი პეტრე კონონენკო უკრაინულ-ქართული ურთიერთობების განმტკიცებისთვის, ასევე ქართული კულტურის შესწავლა-პროპაგანდის საქმეში მიღწეული წარმატებებისთვის უნივერსიტეტის

საპატიო დოქტორად აირჩიეს, ესეც კონონენკოსთან ოთარ ბაქანიძის ხანგრძლივმა თანამშრომლობამ მოიტანა... თავის მხრივ, უკრაინული ლიტერატურის შესწავლისა და საქართველოში უკრაინისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის კი სწორედ ოთარ ბაქანიძე დაჯილდოვდა დაბადებიდან 90 წლისთავეზე უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით. მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალიც აქვს.

ჯერ კიდევ 2009 წელს, ჭაბუა ამირეჯიბი ასეთ მილოცვას უგზავნის ოთარ ბაქანიძეს 80 წლის იუბილეს და წერს — „ჩინებული მეცნიერი და ახალგაზრდების მეგობარი რომ ხარ, ეს საყოველთაოდ ცნობილია და ჩემზე უკეთ შენმა კოლეგებმა თუ აღზრდილებმა იციან. მე კი შენი ერთი თვისეობა მომხვდა თვალში გაცნობისთანავე ასეთი კაცი ხარ სიკეთისთვის მზად მყოფი. შენ შენი ღვაწლით ჩვენს ქვეყანას ბევრი მეგობარი და პატივისმცემელი შესძინე და კვლავაც შესძენ“.

უკრაინული ლიტერატურის ისტორია უნივერსიტეტში 40-იანი წლებიდან იკითხება. ოთარ ბაქანიძე, რომელიც 1947 წლიდან ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე სწავლობდა, უკრაინისტიკაში მოღვაწეობას არ აპირებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „უსპენსკი და ქართული საზოგადოება“. უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში ლექციების წაკითხვის დაწყებას იგი ბედს უკავშირებს, რასაც წლების გადმოსახედიდან მეტად ემადლიერება, თუმცა მისი აკადემიური კარიერა ბევრ რთულ პერიოდსაც მოიცავს და უსამართლობის განცდებსაც აღძრავს.

როგორც ტროცკისტიკის შვილს, ოთარ ბაქანიძეს, მამამისის ბერიასთან მეგობრობა ძვირად დაუჯინეს. დახვრეტილი მამის ტრაგიკული ისტორია მას პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტის იარღილს აწებებდა კაცებებს წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა დამსახურებითაც ოთარ ბაქანიძე ასპირანტურაშიც კი არ მიიღეს. რექტორის ნიკო კეცხოველის მხრიდან მის სასარგებლოდ დანერგულმა რეკომენდაციებმა კი თურმე ვერ გაჭრა. ასე რომ, მიმართულების შეცვლას და შემდგომ წარმატებებს უკვე უკრაინისტიკის სფეროში ოთარ ბაქანიძე მოულოდნელ ილბიანობას უკავშირებს.

1964 წელს პირველი გაცვლითი პროგრამა განხორციელდა კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის. დაიწყო საინტერესო ღონისძიებები, ეწყობოდა დეკადები უკრაინული ლიტერატურისა საქართველოში და შემდგომ

საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო

ახალი ნიგნი საერთაშორისო და ჰოლიბოის სფეროში

მაია ბორაძე

თანამედროვე ეპოქის ყველაზე დიდი პრობლემის — ტერორიზმის და ამ კონტექსტში საქართველოს პოზიციონირების განხილვაა მოცემული საჯარო მმართველობის დოქტორ დავით სუჯაშვილის მიერ ახლახან გამოცემულ ნიგნში „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“, რომლის წარდგენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 მარტს გაიმართა.

ნიგნში განხილულია ტერორიზმის თეორიული, სამართლებრივი, ისტორიულ-პოლიტიკური, რელიგიური, ფსიქოლოგიური და კონტრტერორისტული საკმინაობის საერთაშორისო და ეროვნული საკითხები.

ნიგნის რედაქტორია სამართლისა და პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე, ხოლო რეცენზენტები — ზურაბ აბაშიძე (ისტორიის დოქტორი, პროფესორი, საგანგებო და სრულყოფილი ელჩი), შოთა დოლონაძე (ისტორიის დოქტორი, პროფესორი, საგანგებო და სრულყოფილი ელჩი) და ჯაბა სამუშია (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი).

ნიგნის — „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ — წარდგენას დაესწრნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური წრეებისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

ავტორმა დავით სუჯაშვილმა თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა ნიგნის რედაქტორსა და რეცენზენტებს და აღნიშნა, რომ ძალიან რთულია ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმების მოძიება/გამონახვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურია: „შევეცადე სხვადასხვა კუთხით დამენახა ტერორიზმი, როგორც მოვლენა. ნიგნში მოცემულია — თეორიული კუთხით: ტერორიზმის მიზნები, ამოცანები და დეფინიცია, ხოლო ისტორიული კუთხით: თუ როგორ ხდებოდა ტერორიზმის გავლენა ისტორიულ წრეში. საკმაოდ დიდი ნაწილს ვუთმობ რელიგიურ ტერორიზმს და ვცდილობ — პრობლემა სამართლებრივ ჩრილშიც განვიხილო. დასასრულს, მოცემულია მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ ამ პრობლემას“, — აღნიშნა დავით სუჯაშვილმა.

ავტორი ნიგნში კვლევის შედეგებზე საუბრობს და აჩვენებს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს სისტემური და მასში, სპეცსამსახურებ-

თან ერთად, ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო და საზოგადოება. ავტორის აზრით, სწორედ მათ შორის მჭიდრო კომუნიკაცია მოგვცემს საშუალებას, რომ სწორი მექანიზმები შეიქმნას ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნიგნში ცალკე ქვეთავი ეთმობა საქართველოს წინაშე არსებულ საერთაშორისო ტერორიზმის გამოწვევებს. მასში ნათქვამია, რომ, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს უსაფრთხოების პრობლემატიკაზე, პირველ რიგში, განვიხილავთ მეზობელი სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და იქ მიმდინარე პროცესებს, ასევე — ვაჰაბიტური დაჯგუფებების მომძლავრებას სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის, პანკისის ხეობასა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. ავტორის აზრით, გეო-სტრატეგიული მდებარეობის გამო, შესაძლებელია, საქართველოც დადგეს ტერორიზმის საფრთხის წინაშე. „არ ვფიქრობ, რომ საერთაშორისო ტერორიზმის პირდაპირ სამიზნეს საქართველო წარმოადგენს, თუმცა, ის პოლიტიკა, რასაც ჩვენ ვატარებთ, ასევე ის, რომ ჩვენი ტერიტორიები არის ოკუპირებული საკმაოდ აგრესიული მეზობლის მიერ, ამ საფრთხეს უფრო აქტუალურს ხდის. გარდა ამისა, საქართველო არის საერთაშორისო ტერორიზმის კოალიციის წევრი და ვმონაწილეობთ სხვადასხვა მისიებში. ამიტომ, საკმაოდ ყურადღებით უნდა ვიყოთ. გავიმეორებ იმ მოსაზრებას, სადამდეც კვლევამ მიმიყვანა — მხოლოდ სპეცსამსახურების და სამართალდამცავი ორგანოების ბრძოლა არ არის საკმარისი ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მასში მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული“, — აღნიშნა დავით სუჯაშვილმა.

ნიგნის რედაქტორმა ჯემალ გახოკიძემ, რომელიც, ამავე დროს, დავით სუჯაშვილის დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელიცაა, თავის გამოსვ-

ლაში აღნიშნა, რომ ნიგნში საუბარია არა მარტო ტერორიზმის ანატომიაზე, არამედ იმაზე, თუ რა საფრთხე ელოდება მსოფლიოს სამომავლოდ და როგორ გამოიყურება ეს საფრთხე საქართველოსთან მიმართებაში. „აქ ტერორიზმის საკითხი მონოგრაფიულადაა შესწავლილი. ავტორმა პირველად წამოაყენა წინა პლანზე საზოგადოების როლი ამ დანაშაულთან ბრძოლაში. გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია ტერორისტული ორგანიზაციების შესანიშნავი ფსიქოანალიზი“, — აღნიშნა ჯემალ გახოკიძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, თსუ-ის პროფესორმა ზურაბ აბაშიძემ განსაკუთრებით გამოკვეთა მონოგრაფიაში მოცემული რეკომენდაციები ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში. „ტერორიზმი პლანეტარული მოვლენა გახდა. რამდენიმე დღის წინ ტერორისტული აქტი მოხდა ახალ ზელანდიაში — მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ და სტაბილურ ქვეყანაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამისგან არავინაა დაცული და, ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, დიდი თუ მცირე სახელმწიფო ერთად უნდა იყოს ჩართული როგორც კვლევებში, ისე მეთოდოლოგიის შემუშავებაში. ბატონი დავით სუჯაშვილი დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელია და მას, რა თქმა უნდა, აქვს გაცილებით მეტი ინფორმაცია, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებს. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია, როდესაც ასეთი ინფორმირებული ადამიანი იკვლევს ამ საკითხს და სახელისუფლებო ინსტიტუტებისთვის პრაქტიკულ რეკომენდაციებს იძლევა“, — თქვა ზურაბ აბაშიძემ.

ნიგნის წარდგენაზე სიტყვით გამოვიდნენ, ასევე, არჩილ ფრანგიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), მამუკა თავხელიძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საგანგებო და სრულფასოვანი ელჩი), შოთა დოლონაძე (ნიგნისა და დისერტაციის რეცენზენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საგანგებო და სრულფასოვანი ელჩი), გიორგი ალიბეგაშვილი (პროფესორი, საქართველოს ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე), ირაკლი მენაღარიშვილი (სტრატეგიული გამოკვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საგანგებო და სრულფასოვანი ელჩი), ზვიად გაბისონია (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გე-



დავით სუჯაშვილი

ნერალური დირექტორი, პროფესორი), ბადრი ნაჭყებია (ტერორიზმის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი), მალხაზ ბაძალა (საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, კრიმინოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი), ნიკოლოზ ჯავახიშვილი (თსუ-ის პროფესორი).

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ეს ნიგნი ძალიან კარგი სახელმძღვანელო შეიძლება იყოს ყურნალისტებისთვის შესაბამისი ტერმინოლოგიის შესწავლის და სწორად გამოყენებისთვის. მათივე თქმით, მეტი ინფორმაცია ამ მოვლენის შესახებ შეამცირებს ხარვეზების პრეცედენტს.

რეცენზენტმა, თსუ-ის პროფესორმა ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ნიგნი ინგლისურად ითარგმნოს. „ეს ნაშრომი ნამდვილად იმსახურებს ამას; განსაკუთრებით კი მე-5 და მე-6 თავები, რომლებიც ტერორისტის ფსიქოლოგიურ პორტრეტს მოიცავს. საყურადღებოა, ასევე, ბოლო თავი, რეკომენდაციების ნაწილი“, — თქვა ჯაბა სამუშიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ნაშრომი არის ძალიან ზუსტი და კარგი აღწერა იმისა, თუ რა გარემოში უწევს საქართველოს ყოფნა. „21-ე საუკუნის პირობებში ძალიან რთულია თანამედროვე გამოწვევებს გაუმკლავდე. ტრადიციული მეთოდები საკმაოდ მოძველებულია და ყოველ ჯერზე ძალიან სწრაფად გვიხდება ახალ სისტემებზე გადაწყობა. ეს ნიგნი იქნება სახელმძღვანელო როგორც სპეციალისტებისთვის, ისე სტუდენტებისთვის და იმ ხალხისთვის, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობებით, უსაფრთხოების საკითხებით და იმით, თუ როგორ შეიძლება რეალურად გავუმკლავდე სადღეისო გამოწვევებს“, — აღნიშნა მან.

ნიგნი შედგება 6 თავისა და 37 ქვეთავისგან. მას დანართების სახით ახლავს უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი ტერაქტების მიმოხილვა.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს

ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — ვალერიან გობრონიძე უნივერსიტეტში გადმოსვლამდე, 2008 წლიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსის, ხოლო შემდეგ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა. მისი პრიორიტეტები თანხვედრაშია აკადემიური უმაღლესი



ვალერიან გობრონიძე

განათლების მნიშვნელოვან პრიორიტეტებთან, რაც ეხება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას, სტუდენტებისთვის შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობას, აკადემიური თავისუფლებისა და თანასწორობის დამკვიდრებას, სტუდენტთა ჩართულობას გადამწყვეტილების მიღების და მათი შესრულების კონტროლის პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სრულფასოვანი განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას და ა.შ.



ვალერიან გობრონიძემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1995 წელს ელექტრონიკის ტექნიკის ინჟინრის კვალიფიკაციით დაამთავრა. 2002 წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. კიბერნეტიკის ინსტიტუტში და სტუ-ის სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში, სხვადასხვა დროს, მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობდა. 2002 წლიდან დღემდე სტუ-ში ლექციების კურსს კითხულობს. ვალერიან გობრონიძე თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე გასული წლის ნოემბრიდან დაინიშნა.



მშვიდობიანი ხაზასიისათვის

უკვე ორი ათეული წელია, თბილისში, გალაკტიონის ქუჩის 20 ნომერში ფუნქციონირებს ერთ-ერთი უძველესი არასამთავრობო ორგანიზაცია — „კულტურული ურთიერთობების ცენტრი — კავკასიური სახლი“, სადაც აქტიურად ხორციელდება კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები, როგორცაა „კულტურის კალენდარი“, „შაბათ-კვირის სკოლა დევნილი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის“ და „კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტი“.

კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტის პროექტის ფარგლებში, ევროპული ფონდ „ჰორიზონტის“ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისათვის, ინფორმაციის მიწოდებას კავკასიის ხალხთა კულტურის, ეკონომიკური სივრცის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკოლოგიის, ევროპული დემოკრატიების შესახებ. ციკლებად წარმოდგენილი ლექცია-სემინარების რიგი ეძღვნება ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, აფხაზებს, ოსებს, ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, დაღესტნის ხალხებს... პროექტის ფარგლებში ლექციებს კითხულობენ დარგის ცნობილი ექსპერტები — პოლიტოლოგები, ეკონომიკური მეცნიერები, ეკოლოგები, ეთნოფილოლოგები არა მარტო საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და სამეცნიერო წრეებიდან, არამედ მონაწილე სპეციალისტები კავკასიიდან — დაღესტნიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩეჩნეთიდან და ა.შ. პროექტს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს თსუ-ის სამეცნიერო წრეებთან. პროექტის ფარგლებში, თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, მაგისტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ლექციებს კითხულობენ პროფესორები: ცირა ბარამიძე, გიორგი სოსიაშვილი (გორის უნივერსიტეტი), მერაბ ჩუხუა, ვლადიმერ პაპავა, როზეტა გუჯეჯანიანი, გიორგი ლომჯინიძე და სხვა ცნობილი სპეციალისტები. პროექტის კოორდინატორია



კავკასიოლოგი, თსუ-ის პედაგოგი თამარ უჯუხუ, თანაკოორდინატორები არიან მიხეილ ბეროშვილი და კავკასიური სახლის გამგეობის წევრი, თსუ-ის დოქტორანტი ლევან ლორთქიფანიძე, რომელიც, ამავდროულად, ლექცია-სემინარების უცვლელი მოდერატორიც გახლავთ.

პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს „მონიტორინგის ჯგუფი“, რომელშიც გაერთიანებული არიან ყველაზე აქტიური მსმენელები. ჯგუფის ფუნქციაა სანფორმაციო გამოშვება — „კავკასიის ამბები“ მომზადება, ლექციების დაგეგმვა და შეფასება, მიმდინარე საკითხების ანალიზი.

„სახალხო უნივერსიტეტი“ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გადაიქცა რეგიონალური მნიშვნელობის საგანმანათლებლო პროექტად. თანამედროვე ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა მასში ჩართულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლებთან და საგანმანათლებლო ცენტრებთან გაერთიანებული, კავკასიის პრობლემეტიკით დაინტერესებული ახალგაზრდული ჯგუფები. დღეისათვის „კავკასიური სახლი“ მიმდინარე ლექციებს სკაიპ-კონფერენციების საშუალებით უსმენენ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტში, ზუგდიდის ცენტრალურ

ბიბლიოთეკაში, ქუთაისის, გორისა და თელავის უნივერსიტეტებში, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში და სოფელ ნუკრიანში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი).

პროექტის მუშაობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექცია-სემინარებით. ერთ-ერთი საინტერესო აქტივობა გახლავთ ე.წ. „საუბრები აქტუალურზე“, რაც გულისხმობს დამატებით ლონისძიებას, სადაც მსმენელები თავად ირჩევენ მათთვის საინტერესო სადისკუსიო თემას და თავად არიან მომხსენებლებიც და მოდერატორებიც.

ალსანიშნავია, რომ გასულ წელს დაინერგა საინტერესო იდეა, რომელიც გულისხმობს კავკასიის რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესახებ საინფორმაციო დაიჯესტის მომზადებას სახელწოდებით — „კავკასიის ამბები“. დაიჯესტის ჩვენება ხდება ყოველი ახალი სალექციო ციკლის წინ, რომელიც შემდგომში იტვირთება „კავკასიური სახლის“ „იუთუბ-არხზე“.

საინტერესო და შემეცნებითი გახლავთ თვითონ გადაცემის მომზადების პროცესი: ყველაზე აქტიური მსმენელები ინტერნეტის საშუალებით მოიპოვებენ უახლოეს პერიოდში კავკასიის რეგიონში მომხდარ ამბებს შესაბამისი ვიდეომასალის თანხლებით, ხდება მათი ანალიზი, დამუშავება და რედაქტირება. ტექსტის ნაკითხვა და მასალის მონტაჟიც მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში. პროექტის მსმენელებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ „კავკასიური სახლის“ მდიდარი ბიბლიოთეკით, ინტერნეტით, აუდიო და ვიდეო-სტუდიებით, რაც მათ საშუალებას აძლევთ — მოიძიონ მათთვის საჭირო ლიტერატურა, გადაიღონ მოკლემეტრაჟიანი სასწავლო და შემეცნებითი ხასიათის დოკუმენტური ფილმები. აქ ახალგაზრდებს დახმარებას უწევს „მოყვარულ კინოდოკუმენტალისტთა კლუბი“, რომელიც მეორე წელია აქტიურად თანამშრომლობს პროექტთან.

„სახალხო უნივერსიტეტის“ მსმენელები, ასევე, აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საქველმოქმედო და ეკოლოგიურ აქციებში, რაც მათთვის დამატებითი გამოცდილებაა.

იუბილე

მერაბ (ჯუბარ) ხარასალიძე – 80

ცნობილ მეცნიერსა და პედაგოგს მერაბ (ჯუბარ) ხარასალიძეს 80 წელი შეუსრულდა. ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მისი სამეცნიერო კარიერა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაცო ქიმიის ინსტიტუტში, სადაც მოლეკულური სპექტრომეტრიის იმ დროისთვის თანამედროვე ლაბორატორია შექმნა. შემდეგ მისი მეცნიერული მოღვაწეობა დაუკავშირდა მოსკოვის სამეცნიერო წრეებს, მათ შორის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვანტური ქიმიის ცენტრს, სადაც მან წარმატებით აითვისა ქვანტური ქიმიის თანამედროვე მეთოდები. შესრულებული კვლევის შედეგები ქვეყნდებოდა რუსულ ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ეხებოდა მოლეკულების ელექტრონულ აღნაგობის და რეაქციის უნარიანობის რაოდენობით აღწერას მოლეკულური სპექტრომეტრიის და ქვანტური ქიმიის თანამედროვე მეთოდებით, მიიწვევს იქნა მომავალი კვლევების საფუძვალზე პერიოდად. მიღებული შედეგები შემდეგში საფუძვლად დაედო მის სადოქტორო



დისერტაციას. კერძოდ, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე შექმნილი იყო ე. ფიშერის ინდოლიზაციის რეაქციის მექანიზმი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სამეცნიერო მივლინება ჯორჯიის უნივერსიტეტში (აშშ) ცნობილ ამერიკელ მეცნიერთან, პროფესორ ფრიც შეფერთან. ამ უნივერსიტეტში იგი ასრულებდა კვლევებს ქვანტური ქიმიის უახლოესი მეთოდის — სიმკვრივის ფუნქციონალის თეორიის (DFT – density functional

theory) გამოყენებით. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ამინო მჟავების მიერ პეპტიდური ბმის წარმოქმნისადმი მიდრეკილების მის მიერ შექმნილი ფორმულა, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკულ და ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალებში.


ცნობილია, რომ 21-ე საუკუნეში გამოიკვეთა საბუნებისმეტყველო მეცნიერების გენერალური მიმართულება — ბიოფიზიკური ქიმია. ეს არის სასიცოცხლო პროცესების კვლევა ფიზიკური ქიმიის თანამედროვე მეთოდებით. სამწუხაროდ, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესმა მიმართულებამ საქართველოში ვერ ჰპოვა განვითარება. ბატონი მერაბი ძალისხმევას არ იშურებს ბიოფიზიკური ქიმიის მიმართულებით გაზარდოს ახალგაზრდა მეცნიერები, რისი მაგალითიც არის მისი სამეცნიერო ჯგუფის ბოლოდროინდელი პუბლიკაციები მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში.

ალსანიშნავია მისი მიდრეკილება მწერლობისადმი. ახალგაზრდობაში იგი გახლდათ გალაკტიონის ლიტე-

რატურული წრის წევრი და იმთავითვე გამოირჩეოდა პოეზიისა და ბელეტრისტიკისადმი სიყვარულით. მეცნიერებამ იგი დროებით დააშორა პოეზიას, მაგრამ სიჭარბაგეში მაინც გაიღვიძა ძველმა სიყვარულმა და გამოსცა ორტომეული რომანი — „მოგზაურობა ცხოვრებაში“, მოთხრობები სათაურით — „ჩვენ ადამიანები ვართ“ და პოეტური კრებულები. ერთ-ერთი მათგანის სათაურია: „მთებიც ცოდვაა მაცქერალი კაცის გარეშე“. ყველა სიკეთე, რაც მას გააჩნია, უმაღლის მთების სიყვარულს. თავი ბედნიერ კაცად მიაჩნია, რადგან ჰყავდა ლეგენდარული პედაგოგები: საქართველოში ბავშვთა ტურიზმის ფუძემდებელი მზია ერისთავი, ლეგენდარული ალპინისტები: ალექსანდრა ჯაფარიძე და მარინე უთქმელიძე და „ხულიგანი“ მოსწავლეების მომთვინიერებელი, ფანტასტიკური პედაგოგი სოფიო ქარუმიძე.

ვუსურვოთ ბატონ მერაბს წარმატებული კვლევები, ჯანმრთელობა, სიმხნევე, სულით ძლიერება, საქართველოს მთების მარადიული სიყვარული... კვლავაც აღეზარდოს მას მრავალი წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი...

დიდი ბაბასხლისის „პატარა უკრაინა“



ლუსია უკრაინკა

დავით გურამიშვილი

აპ-12 33-დან

ქართული ლიტერატურისა უკრაინაში. სწორედ ამ ურთიერთობების შედეგად 1969 წელს ოთარ ბაქანიძეს გაუჩნდა იდეა — საქართველოში შექმნილიყო კლუბი „უკრაინა“, რომელიც ქართულ-უკრაინული ურთიერთკავშირების თემას გაამდიდრებდა. კლუბის ძირითადი მიზანი იყო უკრაინული ლიტერატურის შესწავლა და პროპაგანდა, თარგმანა და ამ სფეროში კადრების აღზრდა.

1975 წელს უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის შექმნის საკითხიც დადგა. თავდაპირველად მას ერქვა ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრა, მაგრამ ძირითადად უკრაინული ლიტერატურა იკითხებოდა. 2006

წლიდან განათლებასა და მეცნიერებაში გატარებული რეფორმების შედეგად კათედრა დაიხურა. დარჩა მხოლოდ ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურული ურთიერთობების და თარგმანის მიმართულება. შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლების უკრაინასთან დიდმა დახმავებამ უკრაინისტიკის ინსტიტუტის შექმნის საჭიროებაც მოიტანა.

როგორც აკადემიკოსი ოთარ ბაქანიძე ყვება, როდესაც თბილისში შეეჩვენოს ძველი გაიხსნა, ცერემონიალს ესწრებოდნენ უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი იუშენკო და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი. სწორედ მაშინ უთხრეს ოთარ ბაქანიძეს, რომ უნივერსიტეტში უკრაინისტიკის ფაკულტეტი უნდა გაიხსნასო. საბოლოო გადაწყვეტილება თურმე მცხეთაში მიიღეს და მეორე დღეს პროფესორ ბაქანიძეს ბრძანებთ ხელში დახვდა უნი-

ვერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა, რათა სასწრაფოდ შექმნილიყო უკრაინისტიკის ინსტიტუტი.

ოთარ ბაქანიძე უკრაინისტიკის ინსტიტუტს 2007 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს. სწორედ მისი დამსახურებაა საქართველოში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მიმართ გადადგმული ნაბიჯები. ქართულ უკრაინულ ურთიერთობებს ეძღვნება მის მიერ გამოცემული თუ ნათარგმნი არაერთი ნიგნტი.

■ ჯილდოები

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ბაქანიძე, რომელიც

41 მონოგრაფიის ავტორია, დაჯილდოებულია ასევე „ღირსების ორდენით“, მინიჭებული აქვს „ქართული კულტურის რაინდის“ საპატიო წოდება; არის უკრაინის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, პავლო ტიჩინას სახელობის უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, უკრაინის სახელმწიფო ორდენების და მედლების კავალერი. დაჯილდოებულია უკრაინის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ოთარ ბაქანიძეს დღემდე არა მხოლოდ ინსტიტუტში, არამედ საკუთარ სახლშიც აქვს შექმნილი „პატარა უკრაინა“, რომლისგანაც საზრდოს აძლევს თავის ერს და ეფოფინება ყველა იმ სახსოვარს, რაც კი უკრაინას აგონებს.

გახსენება

კვალი

გასული წელი მძიმე იყო საქართველოსთვის — განაცხადა საქართველოს პატრიარქმა საშობაო წირვის დროს. მას მხედველობაში ჰქონდა ქვეყნის საერთო მდგომარეობა. ცხადია, ამ მხრივ მეცნიერება და განათლება გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოს მეცნიერებამ და უმაღლესმა განათლებამ, ყველაფერთან ერთად, ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე დაკარგა, ბევრი ხანდაზმული თუ ახალგაზრდა მეცნიერი გამოაკლდა ჩვენს რიგებს. დღეს ერთ-ერთ მათგანი ბატონი შოთა ვაშაკიძე გვინდა გავიხსენოთ.

შოთა ვაშაკიძე დაიბადა 1950 წლის 18 სექტემბერს ცნობილი ქართველი ფიზიკოსის ივანე ვაშაკიძის ოჯახში.

შოთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე შევიდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1973 წელს. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ქ. დუბნის ბირთვულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტში. 1975-1991 წლებში კი მუშაობდა თსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში, ხოლო 1991-92 წლებში - შეთავსებით თეორიული ფიზიკის კათედრაზე, სადაც კითხულობდა ლექციებს და ხელმძღვანელობდა ასპირანტების სამეცნიერო მუშაობას. შოთა 1989-90 წლებში მიაკვლინეს ფრასკატის (იტალია) ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში, როგორც მინვეული პროფესორი. 1993 წლიდან იგი სამეცნიერო კვლევებს ატარებდა აშშ-ს უნივერსიტეტებში გამოყენებითი მათემატიკის და ნაწილაკთა ფიზიკის მიმართულებით. სწორედ ამ პერიოდში შეასრულა შოთამ თავისი ფუნდამენტური გამოკვლევები ფელის კვანტური თეორიის მონინავე ფრონტზე. საზღვარგარეთელ კოლეგებთან ერთად მას ეკუთვნის გამოკვლევები ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა სუპერგრაფიტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ შოთა პირველი ქართველი მეცნიერი იყო, ვინც ამ ურთულეს და პრესტიჟულ სამეცნიერო დარგს მოეკიდა. მან შეასრულა და გამოაქვეყნა ნაშრომები კოვარიანტულად და კვანტულ 10 განზომილებიან გრინშვარცის სიგმა მოდელში, მიიღო მოძრაობის განტოლებები სუპერგრაფიტაციულ იანგ-მილსის თეორიაში, დაამუშავა სუპერსივრცეების გეომეტრია და მისთვის სუპერსიმების შესწორებანი. მას ეკუთვნის, აგრეთვე, ძლიერად ბმული სისტემების მაგნიტური მომენტების გამოთვლა და არანრფივ კვანტურ მოდელში ბოგოლიუბოვის გარდაქმნის გამოყენება, ჩარმონიუმის სპექტრების აღწერა ლოგარითული პოტენციალით და სხვ. აღსანიშნავია, რომ გამოკვლევებში უხვად იყენებდა კომპიუტერული გამოთვლების მეთოდებს, რაც მაშინ ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო უმრავლესობისთვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შოთას პიროვნება. იგი იყო უაღრესად კეთილი, თბილი ადამიანი. მეცნიერება მისთვის იყო საკურთხეველი, რომლის სამსხვერპლოზე ყველაფერი უნდა გაიმეტო. თუ რამე საქმეს მოკიდებდა ხელს, პირველ რიგში სამეცნიერო ლიტერატურას წაიკითხავდა. მას ძალიან მოსწონდა აზრი „კალმასობიდან“ — „უნდა პირველად ისწავლო სამსახური, ყოფაქცევა და მერე შეხედე საქმეში“. მასსენდება, როცა შოთა აპირებდა ყურმინის თალარის გაშენებას აგარაკზე, გადააბუღებულა ვალერიან ქანთარიას და მაქსიმე რამიშვილის ფუნდამენტური ნიგნები მევენახეობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა საქმეს.

ბატონი შოთა სამეცნიერო საქმიანობის კვალდაკვალ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. მან ქართველი ლინგვისტებთან და პროგრამისტებთან ერთად შექმნა პირველი ინგლისურ-ქართული ინტერნეტ-ლექსიკონი.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბ-ნმა შოთამ შექმნა აშშ-ში სტუდენტებისა და მძიებლების გაცვლითი პროგრამა, რომლის მეშვეობითაც 150-მდე ქართველმა სტუდენტმა მიიღო და დღესაც იღებს განათლებას ამერიკის ნამყვან უნივერსიტეტებში.

2003 წელს ამერიკის საელჩოსთან ერთად უნივერსიტეტის II კორპუსში გახსნა ამერიკული სტანდარტებით აღჭურვილი საგანმანათლებლო-ინფორმაციული ცენტრი და საბუნებისმეტყველო მიმართულების ნიგნების ბიბლიოთეკა. ამ მხრივაც იგი განსხვავდებოდა თავისი ტოლი ქართველი ემიგრანტებისგან. შოთა იშვიათი გამონაკლისი იყო მათ შორის, რომელიც ზრუნავდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით თბილისში დარჩენილი კოლეგების მობარაგებისათვის. მის მიერ ჩამოტანილი საკმაო მოცულობის მედიკამენტები და ტანსაცმელი კი სიდაუსჭირის წლებში (90-იანი წლები) დაურიგდა უნარშეზღუდულ და მიუსაფარ ბავშვებს.

ბ-ნმა შოთამ აშშ-ში ჩაატარა ქართული კულტურის დღეები, რომელშიც

მონაწილეობდნენ ქართული დიასპორას და საელჩოს წარმომადგენლები. 2001 წელს გამოსცა ერთ-ერთი პირველი ინტერნეტ-ურნალი — „კვალი“ (ქართულ ენაზე). შეაგროვა და დაამუშავა ქართველი ემიგრაციის არქივი, რომელიც 2015 წელს გადაეცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. „კვალის“ ეგიდით და დაფინანსებით 2003 წელს გამართა კონკურსი დრამატურგიასა და პროზაში. ონლაინ-რეჟიმში ჩაატარა დისტანციური ლექციები სხვადასხვა ქვეყნიდან ცნობილი მეცნიერების მონაწილეობით. ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს სინამდვილეში. თბილისში მან გამართა ქართველი დიასპორების საერთაშორისო კონფერენცია. ჯერ კიდევ ადრე, 1976 წელს, შოთა ვაშაკიძე აქტიურად მონაწილეობდა მაღალი ენერჯიების ფიზიკის მე-18 საერთაშორისო (ე.წ. როჩესტერის) კონფერენციის საორგანიზაციო ღონისძიებებში.

შოთა ვაშაკიძე იყო ამერიკაში საქართველოს ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი და განათლების გამგეობის დირექტორი; აშშ-ში საქართველოს საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი; საქართველო-ამერიკის მეგობრობის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, იგი ვალმოხდილი წავიდა მშობლიური ქვეყნის, ოჯახისა და საქმის წინაშე.

შოთა ვაშაკიძე ძალიან დააკლდა საქართველოს მეცნიერებასა და განათლებას. მისი ნათელი ხსოვნა და ნამოღვაწარი მუდამ ემასხოვრებათ მის მეგობრებსა და კოლეგებს.

**მეგობრების სახელით
ანზორ ხალაშვილი,
პროფესორი, საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**



ქართულმა მეცნიერებამ მარსის ბიოლოგიური გრუნტი ხორბლისა და ლობიოს მოსავალი მიიღო



აშშ-ში NASA-ში ასტრობიოლოგიის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (პიუსტონი 2010 წ.). სურათზე (შეორე) ნობელის პრემიის ლაურეატი პროფესორი კარლ პილჩერი ნუგზარ ალექსიძესთან და თანამშრომლებთან ერთად



და ბიორემედიაციის შედეგად მარსის გრუნტში მცირე ზომის ბიოორგანული გრუნტების წარმოქმნა, რომელთა ზრდა ინტენსიურად მიმდინარეობდა დროში.

მიღებული შედეგები მოსამბინეს საერთაშორისო კონფერენციებზე: Chromatic Complementary Adaptation for the exploration of Extraterrestrial Life; Bioastronomy Conference, San Juan, Puerto-Rico, US, 2007; MICROBIOLOGICAL REMEDIATION OF MARTIAN SOIL FOR FUTURE TERRAFORMATION OF THE PLANET; Astrobiology Science Conference, USA, Hyuston, 2010; Astrobiology Science Conference - 2017. მოპოვებული სამეცნიერო შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალში: International Journal of Astrobiology (2007, 2010, 2013, 2015, 2016, 2017 წ.წ.).

მარსზე არსებული მინერალური ნივთიერებებისა და ქანების არსებობიდან გამომდინარე, რომელთა წარმოქმნა წყლის გარეშე შეუძლებელია, მეცნიერებმა ივარაუდეს მარსზე ცეოლითების არსებობა, რაც მალე დადასტურდება NASA-ს თანამშრომლების მიერ. ცეოლითებისა და მარსის გრუნტის ნარევი მათ შეძლეს მიეღწიათ ისეთი შედეგებისათვის, რამაც საშუალება მისცა ავტორებს — ასეთი ტიპის ნარევი ნიადაგზე დაეთესათ და მიეღოთ ხორბლისა და ლობიოს მოსავალი. პრინციპში, მარსზე განსახლებულ კოსმონავტებს შეეძლებათ ნებისმიერი პროდუქტის წარმოება, თუნდაც ვაზის, რის შესახებაც დღეს დიდი ხმაურია ატეხილი. სურათზე (2) წარმოდგენილია ხორბლისა და ლობიოს მცენარეთა განვითარება მკვლევრების მიერ შექმნილ კლიმატო-კამერაში.


ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით ნუგზარ ალექსიძე ამერიკის IBC ცენტრმა წარადგინა ისააკ ნიუტონის სიგელით დასაჯილდოვებლად ასტრობიოლოგიაში.

ბოლო ხანებში მეც, როგორც მიკრობიოლოგი, აქტიურად ჩავერთე ამ კვლევებში და მოპოვებული მასალის დამუშავებაში. შედეგად, თანავტობით გამოქვეყნეთ სამეცნიერო სტატია: „Problems of Mars soil bioremediation and formation of the atmosphere“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში: International Journal of Innovation and Technological Research. 2019 წ.

ზურაბ ლომთათიკა,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის
უნივერსიტეტის პროფესორი

ბოლო დროს ტელევიზიით ხშირად გადაიციმა მარსის, როგორც წითელი პლანეტის, პრობლემების შესახებ, კერძოდ: მარსის გრუნტის სოფლის მეურნეობის საწარმოებად გამოყენების თაობაზე (მარსზე კოსმონავტების განსახლების პირობებში). ხშირად ასახელებენ NASA-ში პირველად წარდგენილ ქართველ მეცნიერებსაც. სამწუხაროა, რომ საზოგადოებას არა აქვს სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ NASA-ში პირველად, ჯერ კიდევ 2010 წელს, საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პროფესორმა ნუგზარ ალექსიძემ და მისმა დოქტორანტმა მარიამ ტარასაშვილმა. კონფერენციაზე მოხსენიებული იყო ექსტრემალურ გარემოში მოპოვებული მიკროორგანიზმებით მარსის გრუნტის ტერაფორმირების შედეგები.

ეს იყო პირველი გამოკვლევები მას შემდეგ, რაც ბიოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა მარიამ ტარასაშვილმა ნუგზარ ალექსიძეს შესთავაზა — ეხელმძღვანელა მისთვის, როგორც ასპირანტისათვის, მარსის გრუნტის ბიოქიმიური ტერაფორმირების მიზნით სადისერტაციო ნაშრომის შესასრულებლად. მას შემდეგ, რაც მათ მოიპოვეს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი (Mars Research Project №GNSF/ST07/6-221, 2008-2011), რომლის მეცნიერ-ხელმძღვანელი და მენეჯერი იყო პროფესორი ნუგზარ ალექსიძე, დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ასტრობიოლოგიის მიმართულებით. კვლევის მიზანი იყო — მოეხდინათ მარსის გრუნტში არსებული მინერალური ნივთიერებისა და ქანების მიკრობიოლოგიური ტერაფორმირება მცენარეების განვითარებისათვის სათანადო აგრონომიული პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით საქართველოს ექსტრემალური რეგიონებიდან მკვლევრებმა მოიძიეს რკინაბაქტერიები, ციანობაქტერიები, სილიკო და გოგირდბაქტერიები და სხვა. საგულისხმოა, რომ მცენარეთა განვითარება უშუალოდ მარსის ნიადაგზე შეუძლებელია, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ რკინაბაქტერიები და ზოგიერთი სოკო, მარსის იმიტირებულ გრუნტზე, საკმაოდ კარგად ვითარდებიან და რომ პიფებსაც კი წარმოქმნიან. მარსის გრუნტის ბიორემედიაციის პრობლემებზე მოქმედმა მეცნიერებმა, პროფესორ ნუგზარ ალექსიძის ხელმძღვანელობით, დაიწყეს მარსის გრუნტის მიკრობიოლოგიური ბიორემედიაცია (ტერაფორმირება). ცდები ტარდებოდა მათ მიერ შექმნილი პლანეტა მარსზე არსებული რადიაციულ-ტემპერატურული გარემოსა და ატმოსფეროს შედგენილობის კომპიუტერული დისტანციური მართვის კლიმატო-კამერაში, რისთვისაც ავტორებმა ნუგზარ ალექსიძემ, მარიამ ტარასაშვილმა, სიმონ წერეთელმა და შალვა საბაშვილმა საიმპიტაციო მოწყობილობის შექმნისათვის („პლანეტა მარსზე არსებული გამოსხივების, ტემპერატურისა და ატმოსფეროს შედგენილობის საიმპიტაციო კლიმატო-კამერა“) მოიპოვეს პატენტი („საქპატენტი“, №12522/01, 2012 წ.).



სურათი (1). მარსის გრუნტის მიკრობიოლოგიური ტერაფორმირების შედეგად წარმოქმნილი ბიოორგანული გრუნტები.



სურათი (2). მარსის გრუნტისა და ცეოლითების ნარევი გრუნტში აღმოცენებული ხორბლისა და ლობიოს ნათესები.

მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტიკა:

ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკომპიუტერული

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:

იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჯანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 2 22 36 62

ვებგვერდი:

newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:

tsunewspaper@tsu.ge



2017 წლის
1 ოქტომბრიდან
გადავა „უნი-ვიზია“
გაღის რეგიონულ
ტელევიზიაში, რასაც
საქართველოს
რეგიონულ
აუწყებელთა ასოციაცია
უზრუნველყოფს (თსუ-სა
და საქართველოს
რეგიონულ აუწყებელ-
თა ასოციაციასთან
გაფორმებული მამო-
რანდუმის თანახმად).

